140
1957/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი

11
ნოემბერი
1957

ვ. ი. ლენინი ტრიბუნაზე ნახატი ა. გერასიმოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

40

7290

ჟ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

11

ნოემბერი
1957

ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბერი

როლიონ ქორქია

ნახატები კ. მახარაძისა



რატომ ეწოდა ასე

ორმოცი წლის წინათ ქალაქ პეტროგრადში, ლენინგრადში, დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ იფეთქა. რევოლუცია მთელს რუსეთს მოედო. იგი მუშათა კლასმა, ღარიბმა გლეხობამ, შეიარაღებულმა ჯარმა, რუსეთის ყოფილი იმპერიის ყველა ჩაგრულმა ერმა მოახდინა. მილიონები ჩაებნენ ოქტომბრის რევოლუციაში. რუსეთის იმპერიას დედამიწის ერთი მეექვსედი ეჭირა. ასეთი დიდი მასშტაბი არ ჰქონია წინათ არც ერთ რევოლუციას! რასაკვირველია, სიტყვა „დიდი“ ზედ გამოჭრილია ოქტომბრის რევოლუციისათვის.

მიზანიც დიდი დაისახა ოქტომბრის რევოლუციამ: მილიონობით მშრომელის გათავისუფლება კაპიტალიზმის უღლისაგან.

სოციალისტური იმიტომ ეწოდება ოქტომბრის რევოლუციას, რომ მან დაამხო ექსპლოატატორთა კლასები, მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა-ექსპლოატაცია. ოქტომბრის რევოლუციამ კაპიტალისტებს ფაბრიკა-ქარხნები და ბანკები ჩამოართვა, მემამულეებს — მიწა და ტყეები. ოქტომბრის რევოლუციამ კერძო საკუთრება სახალხო საკუთრებად გამოაცხადა და დააკანონა: „ვინც არ მუშაობს, არ ჭამსო“.

ამით განსხვავდება ოქტომბრის რევოლუცია სხვა რევოლუციებისაგან, რომლებიც მანამდე ყოფილა. ყველა სხვა რევოლუცია კერძო საკუთრებას უცვლელად ტოვებდა. ყველა სხვა რევოლუცია ძალაუფლებას კაპიტალისტებს, მდიდრებს უნარჩუნებდა.

ოქტომბერში მოხდა ეს რევოლუცია და ამიტომ ამ თვემ მისცა მას თავისი სახელი. ოქტომბერმა შესძრა მთელი მსოფლიო. იგი გრიგალივით დაატყდა თავს ძველ ქვეყანას, ძველ წყობილებას, ძველ ურთიერთობას, კლასობრივსა და ეროვნულ ჩაგვრას.

როგორ მოხდა ეს

მაშინ პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი ბობოქრობდა. ეს ომი 1914 წლის 15 ივლისს დაიწყო. რუსეთი ამ ომში 20 ივლისს ჩაება. ომში მსოფლიოს ყველა დიდი სახელმწიფო მონაწილეობდა. ერთ მხარეზე იყო გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი და ბულგარეთი —ეგრეთწოდებული „ოთხთა კავშირი“.

მეორე მხარეზე იყო ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი. ამათ დაჯგუფებას „სამთა შეთანხმება“ ანუ ანტანტა ერქვა. ანტანტა ფრანგულად შეთანხმებას ნიშნავს. ანტანტის მხარეზე იბრძოდა სერბია, ბელგია, იტალია, ჩერნიგორია, იაპონია, ეგვიპტე, პორტუგალია, რუმინეთი. უფრო გვიან, 1917 წლის 6 აპრილს, მათ შეუერთდა ამერიკა. ეს ომი იყო იმპერიალისტური, მტაცებლური. ის შეამზადეს იმპერიალისტებმა, რომელთაც სურდათ ერთმანეთისათვის მიწა-წყალი წაერთმიათ.

ომს მსოფლიო ხასიათი ჰქონდა, რადგან მასში 33 სახელმწიფო მონაწილეობდა.

ძვირად დაუჯდა ეს ომი კაცობრიობას. ბევრი ქალაქი და სოფელი დაინგრა, დიდძალი ქონება განიავდა, დიდძალი ხალხი გაწყდა. ასე, მაგალითად, 10 მილიონი ადამიანი დაიხოცა, დაიჭრა — 20 მილიონი. ხოლო, როცა ომი დამთავრდა, 1918 წელს, მთელ ევროპას ესპანური გრიპი მოედო — „ისპანკა“, როგორც მას ეძახდნენ. ომისაგან დაღლილმა და დაუძლურებულმა მოსახლეობამ ვერ გაუძლო „ისპანკას“ და 18 მილიონი ადამიანი მარტო ერთ წელს დაიხოცა.

ბოლშევიკური პარტია და მისი ბელადი ლენინი წინააღმდეგი იყვნენ ომისა. ლენინი და ბოლშევიკები იმთავითვე ამხელდნენ ომის გამჩაღებლებს, სისხლმოწყურებულ იმპერიალისტებს. და უხსნიდნენ ხალხს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ის ომი მტაცებლური, იმპერიალისტური ომი იყო. ლენინი მოუწოდებდა მუშებსა და გლეხებს მიებრუნათ იარაღი საკუთარი ქვეყნის კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ, ბურჟუაზიულ მთავრობათა წინააღმდეგ.

სხვა სოციალისტურმა პარტიებმა და მათმა ლიდერებმა ბოლშევიკურ პარტიასა და ლენინს მხარი არ დაუჭირეს. მუშათა მოძრაობის მთლიანობა დაარღვიეს და ბურჟუაზიულ მთავრობებს ომის წარმოების საშუალება მისცეს.

ბურჟუაზიულმა მთავრობებმა ომში გარეკეს ხალხი...

ომი გაჭიანურდა. დიდძალი მსხვერპლი მოჰყვა მას.

იმდროინდელ წერილებში, რომელთაც ჯარისკაცები სანგრებიდან გზავნიდნენ შინ, თქვენ ნახავთ საშინელ უიმედობას, გაბოროტებას, ომზე ხელის აღების სურვილს. სამხედრო არქივებში შენახულია იმდროინდელი წერილები. რამდენი ტანჯვაა ამ ბარათებში! ერთ წერილში შვილი ასე სწერს დედას:

„ძვირფასო დედა! ჯობდა სულაც არ გაგეჩინე ქვეყნად. ჯობდა პატარაობისას დაგეხრჩვე წყალში. ისე ვიტანჯები ახლა...“

ახლა თქვენ აიღეთ ის წერილები, რომლებიც ოჯახებიდან მისდიოდა ჯარისკაცებს! ამ წერილებში იწერებოდნენ: გადასახადებში საქონელი გაგვიყიდესო. ნივთები წაგვართვესო... ოჯახის მარჩენალი სანგრებში კვდებოდა, ოჯახს კი ლუკმა პურს ართმევდნენ... ვინ იყო გამკითხავი?

არა! იყო გამკითხავი! იყვნენ ადამიანები, რომელნიც ფიქრობდნენ მშიერსა და სისხლისგან დაცლილ, გატანჯულ ხალხზე. ესენი იყვნენ ლენინი და ბოლშევიკები. აი, ბოლშევიკური პარტიის იმდროინდელი ერთ-ერთი პროკლამაცია:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა. შეერთდით!

ორი წელია, რაც გრძელდება წყეული ომი. ორი წელია, რაც თქვენ იტანჯებით სანგრებში და თქვენთვის უცხო ინტერესებს იცავთ. ორი წელია, რაც იღვრება ყველა ხალხის მუშათა და გლეხთა სისხლი. ასეული ათასი მოკლული და დასახიჩრებულია, ასეული ათასი დაქვრივდა და დაობლდა — აი, შედეგი ამ სასაკლაოსი. რისთვის იბრძვით თქვენ. ვის ინტერესებს იცავთ თქვენ? მეფის მთავრობამ ცეცხლის პირას დააყენა ჯარისკაცთა მილიონები იმისათვის, რომ ხელთ იგდოს ახალი მიწები და ამ მიწაზე მცხოვრებნი დაიმონოს ისე, როგორც დაიმონა დაჩაგრული პოლონეთი და სხვა ეროვნებანი. მსოფლიო მწარმოებლებმა ვერ გაიყვეს ბაზრები, სადაც შეეძლოთ თავიანთი ფაბრიკა-ქარხნების პროდუქციის გასაღება: ვერ გაიყვეს მოგებანი ამიტომ გაყოფა წარმოებს შეიარაღებული ძალით. და თქვენ, შეუგნებელი ადამიანები, იმათი ინტერესებისათვის სასიკვდილოდ მიდიხართ, ხოცავთ ისეთსავე მშრომელებს, როგორიც თვითონ ხართ.

საკმაოდ დაიღვარა ძმათა სისხლი! გონს მოდით, მშრომელნო! თქვენი მტერი თქვენსავით მოტყუებული ავსტრიელი და გერმანელი ჯარისკაცია. მეფის, მეწარმის და მემამულის წინააღმდეგ მიმართეთ თქვენი შაშხანა! დაუძმობილდით გერმანელსა და ავსტრიელ ჯარისკაცებს. გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი მავთულხლართებს მიღმა, რომლითაც მხეცებივით დაგაშორეს ერთმანეთს თქვენ შრომის ძმები ხართ. თქვენს ხელებზე ბებერას კვალი ჯერაც არ გამქრალა. თქვენ რა გაქვთ გასაყოფი ერთმანეთთან.

ძირს თვითმპყრობელობა!

ძირს იმპერიალისტური ომი!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ურღვევ მთლიანობას!“

ოქტომბერი

ომის მესამე წელს, მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა, მუშათა კლასის მეთაურობით, 1917 წლის თებერვალ-

თებერვლის რევოლუციის დღეებში მშრომელებმა მეფის ტახტთან ერთად ძირს დასცეს მისი სიმბოლო — საძულველი ორთავიანი არწივი.

ში რევოლუცია მოახდინა პეტროგრადში. 12 მარტს მეფე ჩამოაგდეს ტახტიდან.

მოსალოდნელი იყო, რომ რევოლუციას ომის დამთავრება მოჰყვებოდა. — მაგრამ ასე როდი მოხდა. ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები ჩადგნენ. მათ დროებითი მთავრობა აირჩიეს. დროებითმა მთავრობამ და მისმა დამხმარე პარტიებმა ომი არ შეწყვიტეს. გლეხებს მიწა არ მისცეს. ქარხნები ისევ კაპიტალისტების ხელში დატოვეს. თებერვლის რევოლუცია ბურჟუაზიული იყო და დროებითი მთავრობა როგორც რუსეთის, ისე მოკავშირე ანტანტის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის ზრუნავდა.

აპრილში ემიგრაციიდან ჩამოვიდა ლენინი და სათავეში ჩაუდგა ბოლშევიკურ პარტიას. ლენინმა გამოაცხადა: ომი უნდა შევწყვიტოთ, მიწა გლეხებს გადავცეთ. ფაბრიკა-ქარხნებში მუშათა კონტროლი დავაარსოთ. უნდა შევამზადოთ ნიადაგი იმისათვის, რომ ჩამოვაგდოთ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა, მთელი ძალაუფლება გადავცეთ საბჭოებს, გამოვაცხადოთ პროლეტარიატის დიქტატურა...

ბურჟუაზიულმა მთავრობამ და მისმა დამხმარე პარტიებმა — კადეტებმა, მენშევიკებმა და ესერებმა — ამ მოთხოვნის პასუხად ისევ განაგრძეს ომი. ქარხნებიდან დაიწყეს მუშების დათხოვნა, რომ მუშები შიმშილით ამოეხოცათ. სოფლებს დამსჯელი რაზმები შეუსიეს, რადგან გამოფხიზლებულმა გლეხებმა თვითნებურად იწყეს მიწების დატაცება...

4 ივლისს ბოლშევიკებმა ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოაწყეს პეტროგრადში. მთავრობამ დემონსტრაცია დახვრიტა. გაცემულ იქნა განკარგულება ლენინის დაპატიმრების შესახებ. ლენინი გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაში.

დროებითმა მთავრობამ და მისმა მეთაურმა კერენსკიმ ხალხის არც ერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ხალხის მოღალატე გენერლებს ისიც კი უნდოდათ, რომ გერმანელებისათვის ფრონტი გაეხსნათ და პეტროგრადი ჩაებარებინათ რევოლუციის მოსახრჩობად.

მაშინ აივსო მოთმინების ფიალა. მუშების, ჯარის, ფლოტისა და გლეხობის უმრავლესობა ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა. 1917 წელს, 25 ოქტომბერს, პეტროგრადში მოხდა შეიარაღებული აჯანყება. კრეისერმა „ავრორამ" ზამთრის სასახლეს დაუშინა. აჯანყებულებმა ზამთრის სასახლე აიღეს და დროებითი მთავრობა დააპატიმრეს. 26 ოქტომბერს შედგა სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობა. ამ ყრილობამ გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და აირჩია ახალი მთავ-

იმპერიალისტებმა საკუთარი ინტერესების და
საცავად ცეცხლის ხაზზე გარეკეს მშრომელთ
მილიონები, მაგრამ ბოლშევიკური პარტიის აგ
ტაციის შედეგად, ჯარისკაცებმა მავთულხლარ
თებს მილმა გაუწოდეს ხელი ერთმანეთს და დამ
გობრდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავშნოსანზე შემდგარმა ლენინმა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის დამხობისაკენ მოუწოდა მშრომელებს.

რობა — სახალხო კომისართა საბჭო, რომლის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ლენინი.

ლენინი რომ ყრილობაზე გამოჩნდა, ტაშის გრიალმა შეაზანზარა სმოლნის კედლები. ყრილობა ფეხზე წამოიშალა. არალეგალურ ბრძოლებში, მეფის ციხე-კატორღაში, ომის საშინელებაში გამოვლილი ადამიანები კოცნიდნენ ერთმანეთს. ლენინი ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა დარბაზში. მზესავით გაბრწყინებული სახით, ცეცხლივით ანთებული თვალებით ავიდა იგი ტრიბუნაზე და, როცა ტაშის გრიალი მინელდა, ასწია ხელი და ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება გამოაცხადა. ისევ ატყდა გრიგალი ტაშისა. იმ ტაშის გრიგალში ისმოდა ნგრევა ძველისა, ისახებოდა ახალი ქვეყანა, ახალი ცხოვრება. დგებოდა ახალი დილა კაცობრიობისა.

სამოქალაქო ომი

ოქტომბრის რევოლუციამ ახალი ხანა დაიწყო. ეს კი იმაში გამოიხატა, რომ კაპიტალისტებმა და მემამულეებმა დაჰკარგეს უზრუნველი და უდარდელი ცხოვრების წყარო: ფაბრიკები, ქარხნები, მიწა-წყალი, სახლები, მაღაროები, ბანკები. რასაკვირველია, მათ გაშმაგებული ბრძოლა დაუწყეს საბჭოთა ხელისუფლებას. შინაგანმა კონტრრევოლუციამ იარაღს მოჰკიდა ხელი.

ოქტომბრის რევოლუციამ ომი შეწყვიტა. ეს კი არ იყო ხელსაყრელი ანტანტისა და მის მომხრე სახელმწიფოთა კაპიტალისტებისა და მთავრობებისათვის. ამიტომ მათ გადაწყვიტეს ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოზე თავდასხმის მოწყობა, ანუ ინტერვენცია.

შინაგან კონტრრევოლუციას სათავეში ჩაუდგნენ მეფის გენერლები და ის ოფიცრები, რომელნიც მემამულეთა და ბურჟუაზიული წრეებიდან იყვნენ გამოსული. ისინი დაეყრდნენ ჯარის ჩამორჩენილ ნაწილს, ბურჟუაზიას, კულაკებს.

შეიქმნა სხვადასხვა კონტრრევოლუციური მთავრობები საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ამ მთავრობებს დახმარებას უწევდა მსოფლიოს 14 იმპერიალისტური სახელმწიფო. განსაკუთრებით, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და იაპონიის კაპიტალისტები ეხმარებოდნენ მათ— ფულით, შეიარაღებით, ტანისამოსით, სურსათ-სანოვაგით, ფლოტით. ბრძოლა იყო დაუნდობელი, სასტიკი, სამკვდრო-სასიცოცხლო. რუსეთი ორ ბანაკად გაიყო, და განა მარტო რუსეთი! მთელი მსოფლიო გაიყო ორ ნაწილად. ყველა, ვისაც თავისუფალი და პატიოსანი ცხოვრება სურდა, ოქტომბრის რევოლუციის მხარეზე დადგა. ხოლო ვისაც სურდა სხვის ხარჯზე ცხოვრება, სხვისი ძარცვა-გლეჯა — კონტრრევოლუციის ბანაკში მოკალათდა.

გრიალებდნენ ქვემეხები ლენინგრადში, ჩრდილოეთის ფრონტზე, ვოლგის პირას, ურალზე, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში. გრიალებდნენ ქვემეხები ტაშკენტში, ცარიცინში, ბაქოში, ჩრდილოეთ კავკასიაში, დონზე, ყირიმში, პოლონეთში, დასავლეთის ფრონტზე. ბევრი გმირი მისცა ხალხმა ქვეყანას ამ ომში — ვოროშილოვი, ჩაპაევი, შჩორსი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიკვიძე, პარხომენკო, კალანდარაშვილი, ლაზო, კოტოვსკი.

მიდიოდნენ ფრონტზე მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი, დიდი და პატარა. დიახ, ჭაბუკებიც და ბავშვებიც კი დედებისა და მამების გვერდით მიდიოდნენ ფრონტზე, ოქტომბრის რევოლუციის დასაცავად.

დიდი მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო ომში კომკავშირმა. მან სამჯერ ჩაატარა თავისი წევრების მობილიზაცია. პირველად, 1919 წლის მაისს, კომკავშირის 20 პროცენტი გავიდა ფრონტზე. მეორედ, 1919 წლის ოქტომბერს, კომკავშირის მეორე ყრილობამ, მოსკოვში რომ შესდგა, მუშაობა შეწყვიტა და ბრძოლაში ჩაება. მესამედ, 1920 წლის მაისში, 3.000 კომკავშირელი გავიდა ფრონტზე. იყო შემთხვევები, როცა კომკავშირის რაიკომების მთელი შემადგენლობანი გადიოდნენ ფრონტზე. მაშინ თქვენ ნახავდით რაიკომის ბინის კარზე გარდი-გარდმო მიჭედილ ფიცრებს და კარებზე ცარცით გაკეთებულ წარწერას:

„რაიკომი დახურულია. ყველანი ფრონტზე გაემგზავრნენ...“

სამოქალაქო ომის ისტორია სავსეა კომკავშირის გმირული ბრძოლებით. ერთ-ერთი ბრძოლის დროს თეთრგვარდიელებმა კომკავშირელთა ასეული ტბის პირას მიამწყვდია. კომკავშირლები მედგრად იბრძოდნენ, სანამ ვაზნები გამოელეოდათ. როცა გამოელიათ, თეთრებმა წინადადება მისცეს: დაგვნებდითო. კომკავშირლებმა უარი განაცხადეს. თეთრებმა ტყვიამფრქვევი გამოაგორეს, დაუმიზნეს კომკავშირლებს და კვლავ წინადადება მისცეს: დაგვნებდითო. კომკავშირლებმა ისევ უარი განაცხადეს. მაშინ ტყვიამფრქვევს მაღალი მიზანი ააღებინეს განგებ და ასეულის თავზე ტყვიებმა ზუზუნით გადაიარა. პასუხად კომკავშირლებმა ერთმანეთს გადახვიეს ხელი და, გმირული „ინტერნაციონალი“ წამოიწყეს:

„აღსდექ კრულვითა დაღდასმულო,
ქვეყანავ მშიერ მონების!...“

და დაიხოცნენ ყველანი. სამარცხვინო ტყვეობას სიკვდილი ამჯობინეს...

საოცარი გმირობა გამოიჩინა კომკავშირელმა მიშა პოპოვმა. მას სარდალ ლაზოს დავალებით პაკეტი მიჰქონდა შტაბში. გზაზე დასჭრეს. პოპოვმა ქაღალდი გადაყლაპა, რომ მტერს ხელთ არ ჩავარდნოდა ძვირფასი ცნობები. მიშა დაიჭირეს. საშინლად აწამეს. ხელ-ფეხი მოუგრიხეს. ფრჩხილებში ნემსები ჩაურჭეს და მაინც ვერ ათქმევინეს სამხედრო საიდუმლოება. მაშინ გახურებული ზუმბით დაუგლიჯეს ტანი. მიშამ ვაუკაცურად აიტანა წამება. და სიკვდილის წინ დაიძახა: „გაუმარჯოს საბჭოებს!“

სამოქალაქო ომში ბავშვებიც იღებდნენ მონაწილეობას. მოფიქრებით, შეგნებულად ჭიდებდნენ ხელს იარაღს და მიდიოდნენ ბრძოლაში. ესენი იყვნენ თეთრების მიერ დახვრეტილთა თუ გაროზგილთა შვილები, რომელნიც ხედავდნენ თეთრების მიერ ჩადენილ უმსგავსოებას და სურდათ ამ უმსგავსოებათა მოსპობა. მათ მაღალი სამოქალაქო იდეები ამოძრავებდა. ისინი გმირულად იბრძოდნენ დიდებთან ერთად და პირნათლად ასრულებდნენ დავალებებს. უშიშრად შედიოდნენ მტრის ზურგში და ზვერავდნენ მას. აფეთქებდნენ ხიდებს, მიცოცდებოდნენ მტრის განლაგებაში და გადააგდებდნენ ყუმბარას. ისინი იყვნენ მოუღლელი მეკავშირენი, ისხდნენ მორზეს აპარატთან და იღებდნენ დავალებებს. მათ შეურაცხყოფად მიაჩნდათ სამზარეულოში ყოფნა და დიდად ბედნიერები იყვნენ, როცა შაშხანას მხარზე გაიდებდნენ და დიდებთან ერთად მიაბიჯებდნენ.

ერთხელ ფრონტზე ჩემთან მოვიდა თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭუნა

★

ვ. ი. ლენინი სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე აცხადებს საბჭოთა ხელისუფლებას.

★

ბევრი გმირი მისცა ხალხმა სამოქალაქო ომის დროს ჩვენს ქვეყანას. ისინი მამაცურად იბრძოდნენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად. მათ შორის ლეგენდარულ გმირად იქცა ჩაპაევი.

და მითხრა, თეთრებს უნდა ვეომო, შაშხანა მომეცითო.

— სროლა იცი? — ვკითხე მე.

— ვისწავლი. — მიპასუხა მან.

დავაკვირდი. ხმელ-ხმელი, ქერა ბავშვი იყო. ოქროსფერი თმები უბზინავდა ზაფხულის მზეზე. მოლურჯო თვალები მუდარით მიყურებდნენ. ყოყმანი რომ შემატყო, მითხრა:

— თეთრებმა მამა დამიხვრიტეს. დედა ცემით მომიკლეს. მინდა შური ვიძიო... მომეცით შაშხანა! — და ნიკაპი აუკანკალდა.

— მივცეთ! მივცეთ! — მხარი დაუჭირეს წითელარმიელებმა.

პეტკამ ისწავლა სროლა და ჩვენთან ერთად იბრძოდა. სანამ მძიმედ დაჭრიდნენ...

ქალებიც იბრძოდნენ სამოქალაქო ომში და ვაუკაცობაში არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მამაკაცებს. ქალები იყვნენ მეკავშირენი, კლუბის მუშაკები, მეტყვიამფრქვევენი, ავადმყოფთა და დაჭრილთა მომვლელნი. ხელჩართულ ბრძოლებშიც მამებისა, ძმებისა, შვილებისა და ქმრების გვერდით მიდიოდნენ.

ამ ბრძოლაში საბჭოთა ქვეყნის მშრომელები მარტონი როდი იყვნენ. კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასმა პროტესტი განაცხადა ოქტომბრის რევოლუციის ჩახშობის წინააღმდეგ. იმ ქვეყნებში შეიქმნა კომიტეტები, რომელთაც წამოაყენეს ლოზუნგი — „ხელები შორს რუსეთისაგან!“ შავ ზღვაში შემოსული საფრანგეთის ფლოტის მატროსებმა უარი განაცხადეს რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაზე. შეიქმნა ინტერნაციონალური ბატალიონები, სადაც რევოლუციის მხარეზე იბრძოდნენ ჩინელები, უნგრელები, სერბიელები. იმავ დროს, ოქტომბრის რევოლუციის გავლენით, სხვა ქვეყნებშიც მოხდა რევოლუცია: 1918 წლის იანვარს — ფინეთში, 1918 წლის ნოემბერს — გერმანიაში, 1919 წლის მარტს — უნგრეთში, 1919 წლის აპრილს — ბავარიაში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

დამარცხდა მსოფლიო იმპერიალიზმი და მისი ინტერვენცია. გაიმარჯვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და საბჭოთა ხალხი შეუდგა მშვიდობიან მშენებლობას.

მშენებლობის პერიოდი

იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა ძალზე გააღარიბეს ქვეყანა. გააჩანაგეს სახალხო მეურნეობა. მაგრამ საბჭოთა ხალხი როდი შეუშინდა სიძნელეს. მან დარაზმა ძალები და ხელი მოჰკიდა მშენებლობას. დაიწყო ხანა გმირული შრომისა. ხანა დამკვრელობისა, სოციალისტური შეჯიბრებისა, სტახანოვური მოძრაობისა. შედგა ხუთწლიანი გეგმები და ხალხმა დაიწყო ხუთწლედების განხორციელება. აღდგა მრეწველობა. გაიმართა წელში მეურნეობა. არამც თუ ძველი ფაბრიკა-ქარხნები აღდგა, გაჩნდა მრავალი ახალი. მშენებლობამ ისეთი გაქანება მიიღო, რომ უკაცრიელი ადგილები აითვისეს, ჭაობები დააშრეს. უწყლო ადგილებში წყალი ადინეს, არხები გაიყვანეს და ზღვები ზღვებს შეუერთეს. ახალი რკინიგზები გაიყვანეს. სახე იცვალა ქვეყანამ და რუკაზე გაჩნდნენ ახალი ზღვები, ქალაქები, მდინარეები. ასე გაჩნდა: თეთრი ზღვის არხი, მოსკოვის ზღვა, ბირობიჯანი — ნავთობის „მეორე ბაქო“, დნეპროჰესი, ურალ-კუზნეცკის ქვანახშირის აუზი, ახალი კოლხიდა, მოსკოვ-ვოლგის არხი, კუმა-მანიჩის არხი, ვოლგა-დონის არხი... შუააზიის რესპუბლიკები დაიფარნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ყველაფერი ფრონტისათვის!“ ასეთი იყო ჩვენი ლოზუნგი დიდი სამამულო ომის წლებში. ფრონტისაკენ მიემართებოდა იარაღითა და სურსათ-სანოვაგით დატვირთული ეშელონები.

ახალი ფაბრიკა-ქარხნებით. გაშენდა 213 ახალი ქალაქი და 1323 დაბა. თქვენ, ალბათ, გაგიგონიათ ამ ახალი ქალაქების სახელები: მაგნიტოგორსკი, კრამატორსკაია, სტალინსკი, კომსომოლსკი, ყარაგანდა, კრასნოკამსკი, ძერჟინსკი, მაგადანი, ყარაბოღაზ-ჰოლი... სულ მოკლე დროში ჩატარდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

ოქტომბრის რევოლუციამ მემამულეებს მიწა ჩამოართვა და გლეხებს გადასცა. დაჩაგრული გლეხი წელში გამართა. მეფის დროს, რუსეთში, სხვა მოწინავე ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე ნაკლები მოსავალი მოდიოდა და უჭმელობისაგან ყველაზე მეტი ხალხი იხოცებოდა. სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ახლა კი გლეხობა შეკავშირდა და სასოფლო-სამეურნეო არტელები, კოლმეურნეობები დააარსა. კოლმეურნეობებმა სასოფლო-სამეურნეო იარაღები გამოიყენეს და პურის მოსავალმაც დიდად იმატა. გლეხი მოღონიერდა. წელში გასწორდა. სწავლა-განათლებას დაეწაფა.



რევოლუციამდე რუსეთის იმპერიაში სულ 91 უმაღლესი სასწავლებელი იყო. სამამულო ომის დაწყებისას კი 708 უმაღლესი სასწავლებელი გვქონდა. დაწესებული იქნა საყოველთაო-სავალდებულო სწავლება. გაშენდა უამრავი სკოლა, კლუბი, თეატრი. რევოლუციამდე ბავშვებს და მოზარდებს თავისი თეატრი არ ჰქონდა, საბჭოთა ხელისუფლებამ დააარსა საბავშვო და მოზარდ მაყურებელთა თეატრები. გარდა თეატრებისა, ბავშვებს მიეცათ მშვენიერი ჟურნალები და გაზეთები, პიონერთა სასახლეები და ბანაკები, სანატორიუმები, საავადმყოფოები.



სოციალისტურმა მშენებლობამ გაამდიდრა და გაანათლა ქვეყანა. საბჭოთა კავშირი შეიქმნა მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი და კულტურული სახელმწიფო. ამრიგად, ასევე მოკლე დროში, მოხდა მთლიანი კულტურული რევოლუცია, რამაც საბჭოთა ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერ სახელმწიფოდ გახადა.

ქვაკუთხედი ძლიერებისა

საბჭოთა ქვეყნის ძლიერების ერთ-ერთი ქვაკუთხედი ხალხთა მეგობრობაა. საბჭოთა კავშირი 15 მოძმე რესპუბლიკისაგან შედგება. ამ 15 რესპუბლიკაში რამდენიმე ათეული სხვადასხვა ერი ცხოვრობს. საბჭოთა ერები ერთმანეთს მეგობრობენ, ერთმანეთის მხარდამხარ აშენებენ ახალ ცხოვრებას: ქართველი თუ რუსი, სომეხი თუ უკრაინელი, აზერბაიჯანელი თუ ოსი, სადაც უნდა წავიდნენ, ყველგან შინ არიან, ყველგან თანასწორი უფლებით სარგებლობენ საბჭოთა კავშირში. ყველგან შეუძლიათ ცხოვრება, სამუშაოს მიღება, სწავლა, დასვენება. საბჭოთა კავშირის ყველა ერის შვილები — ამხანაგები და მეგობრები არიან ერთმანეთისა. ჩვენში არ არის ნაციონალური ჩაგვრა. მეფის დროს ქართულ ენას „ძაღლის ენას“ ეძახდნენ, სკოლაში ქართული ენა არ ისწავლებოდა. ახლა საკავშირო კანონები ქართულ ენაზეც იბეჭდება. მეფის დროს უკრაინული ენაც დევნილი იყო და ქართულ ენაზე უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. ძველად ქართულ ენაზე თეატრი მაინც იყო. უკრაინელებს ამისი ნებაც არა ჰქონდათ. ასე, მაგალითად, უკრაინულ თეატრს წარმოდგენის გამართვა შეეძლო მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსული თეატრი დაამთავრებდა თავის წარმოდგენას. ეს კი 11-12 საათის შემდეგ შეიძლებოდა. ანა, ღამის 12 საათზე ვინ წავიდოდა თეატრში!

მეფის მთავრობას სურდა არარუსი მოსახლეობა გაერუსებინა. ეს იყო კოლონიზაცია... ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო მოუღო კოლონიზაციას, ეროვნულ ჩაგვრას და დევნას. ოქტომბრის რევოლუციამ დააძმობილა ყველა ერი, გაათანასწორა ისინი უფლებრივად, ყველას მისცა საშუალება სწავლისა, განათლებისა, საამური ცხოვრებისა. უამრავი წიგნი გამოდის საბჭოთა ქვეყანაში ყველა ერის ენაზე. საბჭოთა მწერლების წიგნები ითარგმნება ყველა ხალხის ენაზე. მოძმე ერები ეცნობიან ერთმანეთის ცხოვრებას ამ წიგნებითაც. ამრიგად მყარდება ურთიერთგაგება, პატივისცემა, სიყვარული. „პიონერის“ ფურცლებზე თქვენ ხშირად წაგიკითხავთ ამისი მაგალითები... და ეს ყველაფერი შედეგია იმისა, რომ სოციალიზმმა ახალი ადამიანი წარმოშვა, ახალი აზრებით, ახალი გრძნობებით, ახალი ზნეობით. მაგრამ ჩვენი ხალხის ძლიერება და აყვავება ყველას როდი უხაროდა.

1941 წელს, 22 ივნისს, ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. დაიწყო დიდი სამამულო ომი.



სამამულო ომი

ფაშისტურმა გერმანიამ, სანამ საბჭოთა კავშირს თავს დაესხმოდა, ევროპის 11 სახელმწიფო დაიპყრო. გერმანია იყო მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული ქვეყანა. მას ჩინებულად გაწვრთნილი და ფაშისტური იდეოლოგიით მოშხამული ჯარი ყავდა. მის განკარგულებაში იყო ევროპის 11 სახელმწიფოს სიმდიდრე და ნედლეული. გერმანელი ფაშისტები ამბობდნენ: გერმანია ყველა სხვა სახელმწიფოზე მაღლა უნდა იდგესო, გერმანელი ხალხი ყველა სხვა ხალხზე უნდა ბატონობდესო. ჩვენს სამშობლოსთან ბრძოლაში გერმანია მარტო როდი იყო. მას მოკავშირეებიც ყავდა—ფინეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, იტალია, იაპონია. ყველა ესენი ებრძოდნენ საბჭოთა ქვეყანას. ისეთი ომი ატყდა რომლის მაგვარი კაცობრიობას ჯერ არ ენახა. პირველი იმპერიალისტური ომი მიწაზე მიმდინარეობდა. ახლა ომი სანახევროდ ჰაერში ავიდა. პირველი იმპერიალისტური ომი მხოლოდ არმიებს შორის მიმდინარეობდა. ახლა ომში მთელი მოსახლეობა ჩაება. ამ ომს შორიდან მაცქერალი არ ყავდა. ყველანი იბრძოდნენ: დედები, მამები. შვილები, ქალი და კაცი. დიდი და პატარა.

რადგან გერმანია მოულოდნელად დაგვესხა თავს, პირველ ხანებში ჩვენმა ჯარებმა უკან დაიხიეს, მტერმა მთელი რიგი რაიონებისა დაიკავა.

მტერი მოდიოდა წინ ცეცხლით და მახვილით. სასტიკი და ულმობელი იყო იგი. მიზნად ისახავდა ხელთ ეგდო ჩვენი ოფლით მორწყული მიწა-წყალი, ჩვენი შრომით მოპოვებული პური და ნავთი. იგი მიზნად ისახავდა მემამულეთა ძალაუფლების აღდგენას. იგი მიზნად ისახავდა დაენგრია რუსთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და სხვა თავისუფალ ხალხთა სახელმწიფო, მოესპო ჩვენი ნაციონალური კულტურა.

საბჭოთა ხალხებმა დაინახეს, რომ საქმე ეხებოდა საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა ხალხის სიკვდილ-სიცოცხლეს. საქმე ეხებოდა იმას, თავისუფალი უნდა ყოფილიყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში ჩავარდნილიყვნენ.

მაშინ იყო, რომ გაისმა ლოზუნგი: „ყველაფერი ფრონტისათვის!“

ოჯახებში, სკოლებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, ფაბრიკა-ქარხნებში, ქალაქად და სოფლად დაიწყეს თბილი ნივთებისა და საჩუქრების შეგროვება ფრონტისათვის. პიონერები არა მარტო საჩუქრებს აგროვებდნენ ფრონტისათვის, არამედ სამუშაოდ გავიდნენ საკოლმეურნეო მინდვრებზე, ფაბრიკა-ქარხნებში, დაიწყეს მორიგეობა და სისუფთავის დაცვა ჰოსპიტლებში, პიონერები უკითხავდნენ წიგნებს დაჭრილებს, უწერდნენ მათ წერილებს, უწყობდნენ კონცერტებს. ამავე დროს, ერთი წუთითაც არ შეუნელებიათ სწავლა სკოლაში.

მაშინ იყო, რომ ქუდზე კაცი გამოვიდა სამშობლოს დასაცავად, მტერი იძულებული გახდა ყოველი სოფელი, ყოველი ქალაქი ბრძოლით აეღო. ჰიტლერი თავიდანვე იკვეხნიდა „ელვისებური სისწრაფით“ დავიპყრობთ საბჭოეთსო. პირველ დღეებშივე გაქარწყლდა ეს ბაქიობა. ასე, მაგალითად, ქალაქმა სმოლენსკმა 30 დღეს შეაჩერა მტერი, ისე გმირულად იცავდა თავს. ოდესამ 70 დღეს შეაჩერა მტერი, სევასტოპოლი 250 დღეს იცავდა თავს. ხოლო ლენინგრადისა, მოსკოვისა და სტალინგრადის გმირული ეპოპეა ცნობილია მთელს მსოფლიოში.

მაშინ იყო, რომ საბჭოთა ადამიანებმა გმირობის უნახავი მაგალითები უჩვენეს მსოფლიოს. თაობიდან თაობას გადაეცემა დიდება მატროსოვისა, ზოია კოსმოდემიანსკაიასი, შურა ჩეკალინისა, ოლეგ კოშევოისა... დაუვიწყარი სახელები კოვპაკისა, ზასლონოვისა, კოუედუბის, პოკრიშკინის, პამფილოვის, კაპიტან გასტელოსი და სხვათა და სხვათა...

სხვა ხალხებთან ერთად ქართველმა ხალხმაც დიდი გმირობა გამოიჩინა სამამულო ომში. საქვეყნოდ ცნობილია სახელები არკადი გეგეშიძისა, დავით ბაქრაძისა, ალექსანდრე წურწუმიასი, შოთა გამცემლიძისა, კაპიტან ბუხაიძისა, ჭიჭიკო ბენდელიანისა, მიხეილ ჯინჭარაძისა, მიხეილ გახოკიძისა, ზოია რუხაძისა, ა. ქანთარიასი, რომელმაც ეგოროვთან ერთად რა-

★

საბჭოთა მხედრობამ 1945 წლის მაისში, გამარჯვების პარადზე, მოსკოვის კრემლთან მოიტანა და დაყარა ნაალაფარი, ფაშისტური დროშები.

★



რაიხსტაგის შენობა, რომლის თავზეც საბჭოთა მებრძოლებმა, ეგოროვმა და ქანთარიამ, გამარჯვების დროშა ააფრიალეს 1945 წლის მაისში.

★

იხსტაგის თავზე წითელი დროშა აღმართა... ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც სხვა საბჭოთა ხალხებმა, დიდი მსხვერპლი გაიღო სამამულო ომში...

დიდი მსხვერპლი მოითხოვა სამამულო ომმა. ფაშისტებმა დაანგრიეს 1710 ქალაქი და 70. 000 სოფელი. დასწვეს 32.000 ფაბრიკა-ქარხანა, გაძარცვეს 98.000 კოლმეურნეობა, 1876 საბჭოთა მეურნეობა, 2890 სამანქანო-

გამათავისუფლებელი საბჭოთა მებრძოლის ძეგლი ბერლინში.

ქანდაკება ე. ვუჩეტიჩისა.

სატრაქტორო სადგური. ომი გერმანიასთან 1945 წლის 9 მაისამდე გაგრძელდა, როცა ფაშისტურმა გერმანიამ უსიტყვო კაპიტულაციას მოაწერა ხელი. აღსანიშნავია, რომ ამერიკამ და ინგლისმა, რომლებიც აგრეთვე ებრძოდნენ გერმანიას, ძალიან გვიან გახსნეს მეორე ფრონტი. ამერიკასა და ინგლისს მეორე ფრონტი რომ გაეხსნათ, საბჭოთა კავშირს ნაკლებ მსხვერპლად დაუჯდებოდა სამამულო ომი. საბჭოთა კავშირი მარტო თავის თავს ხომ არ იცავდა? თავისი შვილების სისხლით ის ევროპისა და აზიის ხალხთა სიცოცხლესა და მშვიდობიანობასაც იცავდა.

ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ საბჭოთა ჯარებმა სხვა მოკავშირეებთან ერთად იაპონიას შეუტიეს. ეს 1945 წლის 9 აგვისტოს მოხდა. სულ მალე — იმავე წლის 2 სექტემბერს კი იაპონიამ იარაღი დაჰყარა.

სამამულო ომი დამთავრდა...

მთელი ომის განმავლობაში საბჭოთა ხალხი ძალებსა და შრომას არ იშურებდა გამარჯვებისათვის. ჩვენ მძიმე წლები გადავიტანეთ. მაგრამ გავიმარჯვეთ. სამშობლო გადავარჩინეთ...

სამშობლო გადავარჩინეთ. მოვსპეთ ფაშიზმის — ადამიანთა ამ უბოროტესი მტრის ბუნაგი ევროპაში. მაგრამ განა მარტო ამით ამოიწურება სამამულო ომის მნიშვნელობა?

გერმანიის ჯარებს რომ უკან ერეკებოდა, საბჭოთა არმიამ ბრძოლებით გაიარა ფაშისტების მიერ ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმამდე დაპყრობილი და დამონებული ქვეყნები. გაათავისუფლა ისინი ჰიტლერელთა ბატონობისაგან. თავისუფლად ამოისუნთქეს პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ალბანეთის მშრომელებმა. ამ ხალხებმა აღარ ისურვეს ძველი ცხოვრებისაკენ დაბრუნება, აღსდგნენ თავიანთი კაპიტალისტებისა და მებატონეების წინააღმდეგ და დემოკრატიულ, მუშურ-გლეხური სახალხო წყობილება დაამყარეს. ასევე მოხდა აზიაშიც. იაპონიის დამარცხებამ ხელი გაუხსნა ჩინეთის, კორეის და ვიეტნამის ხალხებს, სამუალება მისცა მათ თავიანთ ნებაზე აეშენებინათ ცხოვრება და დამდგარიყვნენ სოციალიზმის გზაზე.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კაპიტალისტურ სამყაროს გამოაკლდა მთელი რიგი სახელმწიფოებისა და განუზომლად გაიზარდა, გაძლიერდა და განმტკიცდა სოციალისტური ბანაკი. ამ ხალხებისათვის, რომლებიც გათავისუფლდნენ შინაური და გარეული კაპიტალისტების ბატონობისაგან, საბჭოთა ქვეყანა იყო და არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა დასძლიო წინააღმდეგობა, როგორ უნდა აშენო ახალი ცხოვრება.

ამ უნახავსა და უმაგალითო ომში, რომელმაც გადაწყვიტა კაცობრიობის ბედი, საბჭოთა ქვეყანას კომუნისტური პარტია უძღოდა წინ. იგი იყო სიძნელეთა მთავარ უბნებზე, მებრძოლთა ავანგარდში. საბჭოთა ხალხი ენდობოდა პარტიას—თავის პირმშოს, თავის ღვიძლ შვილს, სწამდა მისი და ამ რწმენამ დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა ქვეყნის დიდ გამარჯვებას.

...დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა. საბჭოთა ხალხი ქარხნებს, ფაბრიკებს, შახტებს, კოლმეურნეობებს დაუბრუნდა. დაიწყო თავდადებული, უმაგალითო შრომა ქვეყნის აღსადგენად.

კომუნიზმის შუქურა

ომის შემდეგ საბჭოთა ქვეყანა გამალებით შეუდგა აღდგენით მუშაობას. აქაც დიდი გმირობა და პატრიოტიზმი გამოიჩინა საბჭოთა ხალხმა. სწრაფად აღდგნენ და დამშვენდნენ გმირი ქალაქები: ლენინგრადი, სტალინგრადი, სევასტოპოლი და ოდესა. აღდგნენ დანგრეული ქალაქები. სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში მიღწეული იქნა უდიდესი გამარჯვება.

ომის შემდეგ წლებში სახალხო მეურნეობაში დიდ წარმატებათა შემდეგ კომუნისტური საზოგადოების აშენება ჩვენს ქვეყანაში უკვე არა შორეულ, არამედ კონკრეტულ, ხვალინდელ პრაქტიკულ მიზნად იქცა. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო კიდევ უფრო მეტი პროდუქციის გამოშვება, კიდევ უფრო მეტი დოვლათის შექმნა. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობის ნიშანსვეტი იყო კომუნისტური პარტიის XX ყრილობა. ყრილობამ ყოველმხრივი შეფასება. ანალიზი გაუკეთა ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილ გზას, დღევანდელ საშინაო და საგარეო მდგომარეობას.

ყრილობამ მთავარ ამოცანად დაისახა, რომ მეურნეობის სოციალისტურ სისტემაზე დაყრდნობით, უმოკლეს ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.



ომის შემდეგ გაერაჯვებულმა საბჭოთა ხალხმა ერთმანეთს შეუერთა ვოლგა და დონი, რითაც უმოკლესი გზით დააკავშირა ხუთი ზღვა.

★

ყრილობაზე აღნიშნულ იყო, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ტექნიკური პროგრესი. შრომის ნაყოფიერების გაზრდა და ამით მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მნიშვნელოვანი ამაღლება.

XX ყრილობის შემდეგ ცოტა დრო გავიდა და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში უკვე დიდად იგრძნობა დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა შედეგი.

აი, ზოგიერთი ციფრები:

1923 წელს ჩვენმა ქარხნებმა სულ ორი ტრაქტორი გამოუშვეს. 1956 წელს კი — 184.000 ტრაქტორი.

უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობას 37 მილიონნახევარი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები შეემატა.

ოქტომბრის რევოლუციის წინ, ყოფილ რუსეთის იმპერიაში უმაღლესი განათლების მქონე 7.880 ინჟინერ-ტექნიკოსი ითვლებოდა. ახლა ჩვენს კავშირში 720.000 ინჟინერია.

ჩვენი ქვეყანა ახლა ისე გაიზარდა, რომ იგი გახდა მტკიცე საყრდენი საერთაშორისო მშვიდობისათვის მებრძოლი ძალებისა. ისაა იმედი ჩაგრული ერებისა. მთელი მსოფლიო რწმენით და იმედით შეჰყურებს საბჭოთა კავშირს, საბჭოთა ქვეყანა მშვიდობის შუქურაა.

თუ გინახავთ ზღვის ნაპირას, ნავსადგურში, ამაყად ამართული მაღალი შუქურა?

ბნელი ღამით, დარია თუ ავდარია, გაშლილ ზღვაზე მიმოდიან გემები. ისინი ისწრაფვიან ნაპირისაკენ და სიბნელეში ძევს მათი გზა. აი, იმ სიბნელეში იჭრება ფართო და შორსმხედველი თვალი შუქურასი. შორს სწვდება შუქურას სინათლე, გზას უნათებს გემებს და მშვიდობით შეჰყავს ნავსადგურში.

ასეთი შუქურაა დღეს კაპიტალისტური ოკეანის ნაპირზე საბჭოთა ქვეყანა. ამაყად ამართულა იგი, შორს ანათებს მისი სხივები და გზას უნათებს მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს.

წინ მიდის საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა. ახლოა ის დრო, როდესაც ადამიანი ფეხს შედგამს პლანეტაზე.

★

ეს შუქურა ოქტომბრის გრიგალში აანთო დიდმა ლენინმა.

მისი შუქი გზას გვინათებს და გვიხმობს:

— წინ, კომუნიზმისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდება ოქტომბერს! —

ნახატები ალ. ბანძელაძისა

40

რაც გადმოირღვა
ზვირთები ვრცელი,
რაც შემდეგ ღელვა
და გუგუნია,
იფიქრებ: ასი
საუკუნეა
და არა რაღაც
ორმოცი წელი!

ჩემთვის ის წლები
ჩანგის გულია,—
შენი დიადი
ხსენება, ლენინ!
და მძლეველ დროშად
აღმართულია
ეპოქის სახე
ფუძემდებელი!

გალაკტიონ ტაბიძე

მზე ჩახჩახებს მისი...

ორმოცი წლის არის
ოქტომბერი ჩვენი,
გამარჯვების ზარით
მოჰყვა ხალხს და ლენინს.

ყველგან ბნელი დახვდა
ძველის გადაწვისას.
ორმოცი წლის გახდა,
გახდეს ათას წლისაც!

კომუნიზმის ცაზე
მზე ჩახჩახებს მისი,
სულ ანათოს ასე,
მზეა მარადისი.

აფენს ყველა სახლთან
ძმობის დროშად ნათელს,
ორმოცი წლის გახდა,
უთვალავ წლის გახდეს.

ლადო სულაბერიძე

საოქტომბრო

«ავრორას» მძლავრმა ქუხილმა
სამშობლო გადაანათა,
მშრომელთა მკლავმა გმირულმა
ოქტომბრის დროშა აღმართა.

დიდი ლენინის სიტყვები—
«ომი ომს!» «ხალხებს მშვიდობა!»—
ქუხდა და მტერთან ბრძოლაში
შეუდრეკელად ვიდოდა.

ხალხს მეფე ხალხთა მპყრობელი,
სახრჩობელაზე აჰყავდა;
ზამთრის სასახლის დაცემით
ქვეყნად ზაფხული აყვავდა.

იმ ბრძოლის დიდმა გრიგალმა
და სისხლმა ჩვენთა მამათა
მომავლის გზები გაგვიხსნა,
წინსვლაში გაგვამამაცა.

მის შუქთა გამონათებით
მტერი ცხრება და ოკდება
და ბოროტების გზა-კვალი
უფრო და უფრო მოკლდება.

იზრდება ქვეყნის მთა-ბარი,
მაღლდება ხალხის მარჯვენა
და ოქტომბერი კვლავ იბრძვის
მშვიდობის გასამარჯვებლად.

ორმოცი წელი ეს გზები
გმირულად გამოვიარეთ
და იმ «ავრორას» ქუხილი
დღესაც საქვეყნოდ გრიალებს.

ანდრო თევზაძე



ოთარ შალამბერიძე

ნახატი კ. მახარაძისა

დრო იყო, რა დრო! სასტიკი ეგზომ!
მზე აკლდა მიწას ჯანღით შებურვილს!
«ავრორას» ყბებში ნაღმები ეწყო,
მტრების შავ გულზე დამიზნებული!..

მას შემდეგ ჟამი გავიდა დიდი..,
მზე ჰკოცნის დროშას, მზისფერად გაშლილს!..
ცა არის მშვიდი!.. ზღვა არის მშვიდი!..
«ავრორაც» მშვიდად ირწევა ზღვაში!..



რა მისცა ოქტომბერმა ქართველ ხალხს

გრ. ზარდალიშვილი.

გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ძალიან ძნელია, ძნელი კი არა შეუძლებელია, ერთმანეთს შევადაროთ ძველი და ახალი საქართველო, როგორც მეურნეობის, ისე კულტურის მხრივ. აბა, წარმოიდგინეთ რევოლუციამდელი საქართველო, რომელიც მეფის რუსეთის განაპირა კოლონიური მხარე იყო, ჩამორჩენილი, ცალმხრივი სოფლის მეურნეობით, სადაც მრეწველობა წარმოდგენილი იყო მხოლოდ წვრილი შინამრეწველური საწარმოებით, წარმოების ძველთა-ძველი წესებით. ერთად-ერთი მსხვილი წარმოება იყო ჭიათურის მარგანეცის სარეწები, მაგრამ მოპოვებული მარგანეცი მთლიანად უცხოეთში გაჰქონდათ, მითუმეტეს, საქართველოს ისედაც ჩამორჩენილ მეურნეობას მარგანეცი არ ესაჭიროებოდა.

ქვანახშირის მოპოვება მხოლოდ ტყიბულში სწარმოებდა, მაგრამ ისე მცირე რაოდენობით, რომ ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა საწვავ-სათბობით ძველ საქართველოს მეურნეობას. ჩაის ორი პატარა ფაბრიკა ჩაქვსა და სამტრედიაში, თამბაქოს ფაბრიკები თბილისსა და სოხუმში, და რკინიგზის სახელოსნო თბილისში — აი, მრეწველობის ძირითადი ბირთვი ძველ საქართველოში. ეს იყო მთელი მეურნეობის დასაყრდენი და ავლადიდება.

ისტორიას ჩაბარდა საუკუნოებრივი ჩამორჩენილობა. სამიოდე ათეული წლის განმავლობაში, თითქოს ზღაპარში, აშენდა ახალი, მსხვილი სამრეწველო ცენტრები, ფაბრიკა-ქარხნები, მაღაროები, კეთილმოწყობილი კურორტები, რომელთაც საკავშირო, ხოლო ზოგიერთს მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. გაყვანილი იქნა რკინიგზის ახალი ხაზები, შეიქმნა ათობით უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, ტექნიკუმი, ასობით სკოლა და სხვა. სქელი წიგნი გამოვიდოდა მარტო რომ ჩამოგვეთვალა ყველაფერი ის, რაც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აშენდა და გაკეთდა ჩვენს რესპუბლიკაში.

ძველი საქართველოს ჩამორჩენილობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების სუსტი ცოდნა და გამოყენების დაბალი დონე. როგორც ცნობილია, ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების დონე უპირველესად დამოკიდებულია ენერგეტიკის წყაროების სიმდიდრესა და გამოყენების შესაძლებლობაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია საქართველო. პირველ რიგში კი აღსანიშნავია მდინარეები და ქვანახშირი.

რესპუბლიკის მდინარეები ჩვენს დროში გამოყენებულია არა მარტო საკოლმეურნეო მიწების მოსარწყავად და ხე-ტყის დასაცურებლად, არამედ პირველ რიგში ელექტროენერგიის მისაღებად. ჩვენი მთავარი მდინარეების საშუალო წლიური თეორიული სიმძლავრე 12 მილიონ კილოვატს შეადგენს. ამ მხრივ. საქართველო პირველ ადგილზეა საბჭოთა კავშირში და ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ჰიდროენერგიის მარაგით ჩვენი რესპუბლიკა უტოლდება „თეთრი ნახშირით“ ისეთ მდიდარ ქვეყნებს, როგორებიცაა შვეცია და შვეიცარია, ნორვეგია და ავსტრია.

საქმე იმაშია, რომ საქართველოს არ გააჩნია სხვა სახეობის ენერგორესურსების დიდი მარაგი. საკმარისია



☆

ვის არ გაუგონია ზაჰესი! მისი ენერგიით მარაგდება ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნები ტრანსპორტი... ქართველი ხალხი სამართლიანად ამაყობს საბჭოთა ენერგეტიკის ამ პირმშოთი.



აღინიშნოს, რომ ჰიდროენერგეტიკული რესურსების ხვედრითი წონა რესპუბლიკის რესურსებში 91 პროცენტს შეადგენს, მაშინ, როცა ქვანახშირის ხვედრითი წონა—მხოლოდ 3,5 პროცენტს აღწევს. სწორედ ეს მომენტი განსაზღვრავდა და მომავალშიც განსაზღვრავს ენერგეტიკის შემდგომ ზრდას საქართველოში.

ამჟამად საქართველოში მოქმედობს ათობით მსხვილი და ასობით საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური ვის არ გაუგონია ჩვენი ენერგეტიკის პირმშო — ზაჰესი, ისეთი მსხვილი ელექტროსადგურები, როგორებიცაა რიონჰესი და გუმათჰესი, ხრამჰესი და ჩითახევჰესი, ალაზანჰესი და ტირიფონჰესი, შაორჰესი და ტყიბულჰესი და სხვა მრავალი. ამ ელექტროსადგურების ენერგიით რუსთავში ადნობენ ქართულ ფოლადსა და თუჯს, ამ ენერგიას უხვად ღებულობს ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნები, ტრანსპორტი, ქალაქები და საკოლმეურნეო სოფლები.

დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ქვანახშირს, მით უმეტეს რომ, ამიერკავკასიის დანარჩენ მოძმე რესპუბლიკებში ქვანახშირი არ მოიპოვება. ტყიბულისა და ტყვარჩელის მაღალხარისხოვანი ქვანახშირი გამოყენებულია არა მარტო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სათბობით მომარაგებისათვის; იგი, ახალციხის მურანახშირის საბადოსთან ერთად, საწვავ-სათბობით ამარაგებს მთელი ამიერკავკასიის მსხვილ საწარმოებსა და ქალაქებს.

ენერგეტიკის განვითარებამ განსაკუთრებით ხელი შეუწყო სამთო-მოპოვებითი მრეწველობის შექმნა-განვითარებას. ხუთწლედების მანძილზე ქართველი გეოლოგების მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი იქნა ასობით ახალი, რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის საბადო. ჩვენი ქიმიური და, განსაკუთრებით, ნავთობდამმუშავებელი მრეწველობა საჭირო ნედლეულს — ფლორიდინს უწინ ამერიკის შეერთებული შტატებიდან იღებდა. საბჭოთა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სოფელ გუმბრის (წყალტუბოს რაიონი) ეგრეთწოდებული „თავსაბანი მიწა“ თავისი ხარისხით უკეთესია ფლორიდინის თიხაზე, და უკვე ორიოდე ათეული წელია, ჩვენი გუმბრინი სავსებით აკმაყოფილებს მთელი საბჭოთა კავშირის ქიმიური და ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობის მოთხოვნილებას. საჭირო აღარ არის თიხის შემოზიდვა შორეული ამერიკიდან. ყოველწლიურად იზოგება ათობით მილიონი მანეთი.

საქართველოს წიაღისეულთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქისათიბის (ახალციხესთან) დიატომიტს, ანუ ინფუზორულ მიწას. ქისათიბის საბადო თავისი ხარისხითა და მარაგით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ქართული დიატომიტი არა მარტო აკმაყოფილებს ჩვენი დიადი სამშობლოს მოთხოვნილებას, არამედ დიდი რაოდენობით გადის უცხოეთშიც.

შეიძლება ბევრმა არც კი იცის, რომ ახალციხის აქატი, ეს ძვირფასი და იშვიათი მინერალი, გამოყენებულია ზუსტ მანქანათმშენებლობაში, რომ ქართულ აქატზე მუშაობს საბჭოთა კავშირის ზუსტი მანქანათმშენებლობა და საათების მრავალი საწარმო დასავლეთ ევროპაში.

ქართული ფერადი მარმარილო ამშვენებს არა მარტო მოსკოვისა და ლენინგრადის მეტროპოლიტენს, არამედ იგზავნება ვარშავაში, მეცნიერთა სახლის მშენებლობაზე, შორეულ მონღოლეთის დედაქალაქში, მთავრობის სასახლის მშენებლობაზე და სხვ.

განა მარტო ამით ამოიწურება საქართველოს წიაღისეული სიმდიდრეები. ჩვენ არაფერს ვამბობთ მსოფლიო მნიშვნელობის მარგანეცის საბადოზე, რადგანაც ეს საბადო დიდი ხანია ცნობილია, ბევრი რამეა მასზე თქმული და დაწერილი. ქართულ მარგანეცს ხარისხით მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება და ჩვენ სავსებით სამართლიანად ვამაყობთ ჭიათურის მარგანეცის იმ საბადოებით, რომლის აღმოჩენასა და დამუშავების წამოწყებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის გამოჩენილ ქართველ პოეტს აკაკი წერეთელს.

ბარიტი, ტალკი, მერგელები, ანდეზიტი... — ბევრის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენი პატარა ქვეყნის დიდ სიმდიდრეებზე.

საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის სიამაყეა სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომელმაც ხელი შეუწყო ამიერკავკასიის მსხვილი სამრეწველო ცენტრების ლითონით მომარაგებასა და მანქანათმშენებლობის განვითარებას, მრეწველობის შემდგომ აღჭურვილობას, სოფლის მეურნეობის განვითარებას სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ქიმიური სასუქების წარმოებით. რუსთავი არა მარტო მეტა-



საბჭოთა ხელისუფლების წლებში მთლიანად შეიცვალა ხახე ჭიათურამ, აქ ხომ მსოფლიო მნიშვნელობის მარგანეცის ხაბადოა. ქართველ მეშახტეებს უყვართ თავიანთი ქალაქი და მისი ზრდითა და მიღწევებით ხარობენ.

☆

ლურგიის, არამედ უკვე ქიმიური მრეწველობის უდიდესი ცენტრიც არის.

რუსთავი ამიერკავკასიის ხალხთა ურღვევი მეგობრობის შესანიშნავი მაგალითია და შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის ნავთობის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საწარმო, რომელიც არ იყენებდეს რუსთავში დამზადებულ ფილებს. კიდევ მეტიც, რუსთავის მილები უკვე იგზავნება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, განსაკუთრებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

☆

ოდესღაც ჩამორჩენილი საქართველო დღეს მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის რესპუბლიკად იქცა: რუსთავში ფოლადის ქარხანა გუკუნებს, ქუთაისის საავტომობილო ქარხნიდან გამოსული მანქანები ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში დაჭრიან, ჩაის ბლანტაციებს ჩაის საკრეფი მანქანები დახტრიალებენ თავს.

☆

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საქართველოში შეიქმნა მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც უწინ არ არსებობდა. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მანქანათმშენებლობას. ჩვენს რესპუბლიკაში მანქანათმშენებლობის რამდენიმე ცენტრია. ესენია: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და ფოთი. რას არ ამზადებენ ჩვენი მანქანათმშენებელი ქარხნები! თვითმცლელ, ცემენტსაზიდ და ბამბასაზიდ ავტომანქანებს შუა აზიისა და აზერბაიჯანის მებამბეობის რაიონებისათვის, მიწისმწოვ მანქანებს ჭაობების ამოსაშრობად, ლიფტებს და საფეიქრო დაზგებს, ელექტროტექნიკურ მოწყობილობებს და ლითონკონსტრუქციებს. თბილისში დამზადებული ახალი ტიპის ლითონსაჭრელი დაზგები უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს არ მარტო ჩვენი ქვეყნის მსხვილ ქალაქებში, არამედ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც. ქუთაისში გამოშვებული სამთო საშახტე მოწყობილობანი, ბათუმში დამზადებული მანქანები ჩაისა და ღვინის მრეწველობისათვის, — იგზავნება იტალიასა და ალჟირში, ვიეტნამსა და ჩრდილო კორეაში, ბირმასა და ინდოეთში, ავღანეთსა და იემენში. ჩაის ორი ფაბრიკის სრული აღჭურვილობა გაეგზავნა მიმდინარე წელს ვიეტნამის რესპუბლიკას. აღნიშნული ფაბრიკები დამონტაჟებული იქნა ქართველი ინჟინრების მიერ ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში. თბილისური ზუსტი ხელსაწყოები წარმატებით არის გამოყენებული არქტიკაში, მოდრეიფე სადგურებსა და ანტარქტიკულ ექსპედიციებში, შუა აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში, კომუნიზმის დიად მშენებლობებზე.

ოდესღაც ჩამორჩენილი, ნახევრადკოლონიური საქართველო დღეს მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის და დიდი ელექტროსადგურების რესპუბლიკა გახდა და თავისი მრეწველობის განვითარების დონითა და მრავალფეროვნებით საპატიო ადგილზეა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის სისტემაში.

გამრავალფეროვანდა სოფლის მეურნეობა, მზიური საქართველო გადაიქცა ჩაის, ციტრუსების, მეთამბაქოეობის, ძვირფასი ტექნიკური კულტურების, ხარისხიანი მეხილეობისა და მევენახე-მეღვინეობის ერთ-ერთ წამყვან რესპუბლიკად მთელ საბჭოთა კავშირში.

მურმანსკიდან ტაშკენტამდე, კალინინგრადიდან ვლადივოსტოკამდე საბჭოთა ადამიანები სვამენ სურნელოვან ქართულ ჩაის, რომელიც თავის ხარისხით არ ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

ყველგან ხალისიანი შრომაა—ჩაის უსაზღვრო პლანტაციებსა თუ კახეთის ბარაქიან ვენახებში. გამრავალფეროვანდა სოფლის მეურნეობა. საბჭოთა საქართველო—ჩაის, ციტრუსების, მევენახე-მეღვინეობის და სხვა კულტურების რესპუბლიკად იქცა.

★



უვარდება ცეილონისა და ჩინეთის ცნობილ ჩაის. საქართველო ჩაის მთავარი მწარმოებელია საბჭოთა კავშირში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობს ჩაის 63 ფაბრიკა, ხოლო ჩვენი ხვედრითი წონა საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჩაის წარმოებაში 97 პროცენტს აღწევს.

ჩვენი სახელგანთქმული, მაღალხარისხოვანი ღვინო, შუშხუნა შამპანური და კონიაკი საუკეთესოდაა აღიარებული და უხვ ნაკადად მიედინება ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა კუთხეში.

მთელს კავშირშია ცნობილი ქართული ციტრუსები, ხილის კონსერვები, სურნელოვანი თამბაქო... განა შეიძლება ყველაფრის ჩამოთვლა?!

დიდი წარმატებები იქნა მიღწეული კულტურის დარგში. ქართველმა ხალხმა ბრძოლების ქარცეცხლში გამოატარა და შეინარჩუნა თავისი მაღალი ეროვნული კულტურა, გაამდიდრა იგი და დიად საბჭოთა ეპოქას გადასცა შემდგომი აყვავებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შეიქმნა ქართული მეცნიერული აზროვნების ცენტრი — მეცნიერებათა აკადემია 50 სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებით, რომლებშიც მეცნიერ-სპეციალისტები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან.

გახსნილია ათობით უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც უკანასკნელ 35 წლის განმავლობაში მომზადებული იქნა 90 ათასზე მეტი ინჟინერი, ექიმი, პედაგოგი, აგრონომი და სხვა სპეციალისტი, ხოლო ტექნიკუმებმა მოამზადეს საშუალო კვალიფიკაციის 145 ათასი ახალგაზრდა სპეციალისტი, საქართველოში ყოველ ათას კაცში 14 უმაღლესდამთავრებულია. ამ მხრივ საქართველომ 10-ჯერ გაუსწრო თურქეთს და 50-ჯერ ირანს.

დიდი წვლილი შეაქვს ქართველ საბჭოთა ინტელიგენციას სოციალისტური კულტურის შემდგომ ზრდა-განვითარებაში. მომავალ წელს მოსკოვში გაიმართება ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, სადაც ქართველი ხალხი მოსკოვს უჩვენებს თავის მიღწევებს უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე.

აი, რა მისცა ოქტომბერმა ქართველ ხალხს.

ულევია ჩვენი სიმდიდრე, უდრეკია ნებისყოფა და დაუშრეტელია ენერგია ქართველი ხალხისა, რომელიც ახალ-ახალი გამარჯვებებით ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერა

თავი წამით არ დახარეს,
არ შეუშინდნენ წამებას,
თავისუფლება გვახარეს
ჩვენმა მებრძოლმა მამებმა.

ახლა აყვავდა მთა-ბარი,
ვხარობთ. ვზეიმობთ ბალღები,
პარტიის ზრუნვით გამთბარნი,
ბედნიერი და ლაღები.

ცაში ფრიალებს დროშები,
გული მზესავით ანთია,
ოქტომბერს მრავალჟამიერ,
დიდება მშობელ პარტიას!

თამაზ ბადრიაშვილი,

თბილისის 51-ე საშ. სკოლის მოსწავლე.



სამშობლო

გამოვლილი ხარ ქარცეცხლში
ბევრი ბრძოლების მნახველი;
გამარჯვებათა მწვერვალზე
ოქტომბრის თვეში ახველი.

დროშებმა წითლად შეფერეს
მზით მოხატული მთა-ბარი,
დიდების სხივით შემოსეს
ოქტომბრის ნაამაგარი.

ღელავენ პურის ყანები,
ზღვის ტალღებს ემსგავსებიან;
მარანში ღვინო ჩუხჩუხებს,
ყურძნის მტევნები დნებიან.

გამოვლილი ხარ ქარცეცხლში
ბევრი სიმწარის მნახველი,
დღეს ოქტომბრის ცას გინათებს
დიდი ლენინის სახელი.

ბესიკ ჯორბენაძე,

თბილისის 1-საშუალო სკოლის მოსწავლე.

მშვიდობისათვის

ჩვენ არ გვინდა ომის სუსხი,
ჩვენ მშვიდობა გვინდა მარად,
ჩვენ ოქტომბრის მოტანილი
სიმღერა გვსურს მთა და ბარად.

ჩვენს საყვარელ საშშობლოში
რა სჯობია შრომას, გარჯას,
კომუნიზმის მზე აენთო
და მარადის ჩვენთან დარჩა.

ჩვენზე ზრუნავს მთელი ხალხი,
ჩვენ პარტია გვიცავს ბავშვებს,
ყველა მშრომელს მშვიდობა სურს
და მშვიდობა გაიმარჯვებს.

სულიკო ბერძენაძე,

წყალტუბოს რაიონის მუხიანის საშუალო სკოლის მოსწავლე.

★

„ქართული ჰიდროგა“

გ. ჯაფარიძე

თბილისის 55-ე სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ბარიკადამკვრელები

ბორის ჩხეიძე

ნახატები ალ. ბანძელაძისა

— პაპა, ჰა, პაპა! აქ, ასე მოშორებით ჩვენგან რა გაჩერებს? დავბრუნდეთ შინ, დავიჯინოთ დიდედაჩემი ამ ეტლში და ვიცხოვროთ ყველამ ერთად თბილისში! — ეხვეწებოდა დიმიტრი მარიდაშვილს მისი უფროსი შვილიშვილი, მესამე თუ მეოთხე კურსის სტუდენტი. დიმიტრის ახარებდა შვილიშვილის ეს სიტყვები, ოღონდ გულში ეცინებოდა მათზე. ამ ადგილს, ჩემ სახლკარს ხირსაზე თავს როგორღა დავანებებო. წკვერტა, შინდის ჯოხის ტარიანი მათრახი უჭირა დასუქებულ ცხენებს, რომლებიც წნორისწყლის სადგურისაკენ მიჰქროდნენ. ეტლი დატვირთული იყო ათასი სხვადასხვა ხილეულით, ახლად გამშრალ ჩურჩხელებით, მაჭრიანი კასრით. შოთებით და ყველით.

— ყველას თავისი გზა აქვს... — ჩაულაპარაკა შვილიშვილს დიმიტრიმ. — მე კი ხირსის იქით გაძლება გამიჭირდება.

შვილიშვილი გააკვირვა პაპის ამ სიტყვებმა. ასე გამოდიოდა, თითქოს შორეული საბჭოთა მეურნეობის დასახლებული უბანი ერჩია პაპას საცხოვრებლად, გასაძლებად, ვიდრე მშვენიერი თბილისი, და მან უკმაყოფილოდ ახედა ცას. ამ დროს ნიავმა წამოუბერა, შუბლი გაუგრილა სტუდენტს. მან შვებით ამოისუნთქა. ხიცხე და გვალვა აღარ წვავდა კავკასიონსა და გომბორს შორის მოქცეულ კახეთის ველებსა. მწიფობის თვე დამდგარიყო. მზე დილით გვიან ამოდიოდა, საღამოს — გვიან ჩადიოდა. დღეები სანთელივით დნებოდნენ და მალე ქრებოდნენ.

ცხენებმა დიდი მანძილი მალე გაირბინეს. ეტლი გაჩერდა წნორისწყლის სადგურთან. დიმიტრიმ ტვირთი ხელდახელ გადმოიღო. ნაცნობების დახმარებით (სტუდენტმა შვილიშვილმა მხოლოდ ჩხაკიდო დაიჭირა ხელში) ყველაფერი ვაგონში აიტანა და აძვრას ძლივს ჩამოასწრო ბაქანზე. თვალი გააყოლა ვაგონს. ფანჯრიდან თავი გადმოეყო მის შვილიშვილს, ხელს უქნევდა, თითქოს დაჟინებით ეპატიჟებოდა თბილისში. ამ დროს ვიღაცამ მოავლო ხელი პიჯაკის კალთაზე. დიმიტრიმ მაშინვე მოიხედა, მისთვის კალთაში ხელი ჩაევლო სალო გართიაშვილს, რომელიც მოხუცობისაგან ფეხზე ძლივს იდგა და უაზროდ, თვალების ტრიალით შესჩერებოდა დიმიტრის. გართიაშვილის დანახვამ მას მოაგონა უკანასკნელად მასთან შეხვედრა, ვინ იცის რამდენი წლის წინათ. ეს შეხვედრა სწორედ აქ, წნორისწყლის სადგურზე, ამ ადგილას მოხდა.

* * *

მეორე დღე იყო მიტოს პირში ლუკმა არ ჩაედო. ძალიანაც რომ სდომოდა საჭმელი. პურის დანახვაც კი ზიზღს გვრიდა. ავადმყოფობამ დაიჯაბნა, მადაც მან წაართვა. როცა გუშინ რკინიგზის აგენტი მოვიდა და ურჩია მიტოს, სამუშაოდ გამოდი, შენი გაკეთებული არა მინდა რა, ბიჭო, შიმშილით სული არ გააცხო. ორიოდე გროში გააკეთეო. უქვეშსაგებსახურავო ტახტიდან ვაგლახით წამოდგა. ფეხზე დადგომა გაუჭირდა კარგა ხანს. წელს ზემოთ ხერხემალი ვეღარ იჭერდა სხეულს. წელს ქვემოთ წვივის ბოძები ეშლებოდნენ, ექცეოდნენ. შემბრალეც არავინ ყავდა შინ. მამა მიტოს არ ახსოვს. დედა, ტკბილი, მადლიანი ქალი, ხუთიოდე წლის წინათ გარდაიცვალა. მაშინ მიტო ცამეტი წლისა იყო და მეთოთხმეტეში გადადიოდა. დედის მიწისათვის მიბარების დღიდან სულ მარტო დარჩა ფიცრულში. გაჭირვებამ კლანჭებში მოიგდო და აღარ უშვებს. ლამის არის გაგუდოს. შინ დაობებული პურის ლუკმაც არ გდია. ძალო ნინო, ბიძია არჯევანის ცოლი, რომელიც პურს გამოუცხობს ხოლმე, გაცვეთილ ხალათ-შარვალსაც უკერებს ხანდახან, იმ დღეებში სადღაც წავიდა.

ჩვიდმეტი წელიწადი უსრულდებოდა მიტოს. ბევრი სხვადასხვა საქმე ეეთელო. პურის გაჭოცხობა არ ეხერხებოდა მხოლოდ. ის ამასაც მოახერხებს. ბოლოსდაბოლოს ფქვილს წყალს დაასხამს. აურევს. მიტო საფქვილე ჭურჭელთან არ მიდის. პური წმინდა საჩჩოდ არის მიჩნეული სოფლად. მისი ადვილად ხელის ხლება არ შეიძლება. ერთიც ვნახოთ მიწაზე დაებნა ფქვილი, ცომის მაგივრად ალიზი გამოუვიდა — ცოდოა ღვთისა და ადამიანის წინაშე. ცოდოსაც დაძლევს კაცი. ოღონდ საქმე ის არის — საფქვილეში არაფერი ეგულება. კიდევ სხვა დიდი მიზეზიც აქვს—პურის ცხობას არ შეეხას. ცომს ზელა უნდა. ზელას — მკლავის ძალა, მკლავის ძალა კი სადაა? აღარ გააჩნია!

მიტო ალაზანგაღმურ ჭიაურის ტყის და ბეშკენთის ჭაობების ტროპიულ ციებას შეუპყრია. ავადმყოფობა გარეგნულადაც ემჩნევა. სახის კანი და თვალის კაკლები ჩინჩილიანი კომშივით ჩამოჭყვითლებია. ხანდახან მკლავს მაღლა ასწევს და თავისივე გამხდარი ხელის სავარცხელში ძვლებს ითვლის და ასეთ მდგომარეობაში მეორე დღეა პირში ლუკმა არ ჩასცდენია. არა, შიმშილის გრძნობა კი არ აწუხებს, აკი ციებ-ცხელებისაგან მადა და ჭამის ილაჯი წართმეული აქვს. მიტოს მხოლოდ ის აზრი აწუხებს, რომ იცის, კაცი უჭმელად არ ვარგა, ასე დიდხანს ვერ გასძლებს. წაიქცევა, ვეღარ ადგება. სულს გააცხებს თხიპიან ქათამივით.

სადგურის უკან გავიდა. იქ გაგარეულებულ ბროწეულს რტოზე შერჩენილი ნაყოფი მოჰგლეჯა, გაღეჭა, მეავე წვენით პირი გაისველა. სასაში კალასავით გაგლესილი სიმწარე ვერ იქნა ვერ მოიცილა.

— რა ვქნა, როგორ მოვიკრიბო ღონე, ძალო ნინო მაინც დაბრუნდეს შინ. ის მიეშველება, იხსნის ამ მდგომარეობიდან.

დიმიტრიმ მაშინვე მოიხედა, მისთვის კალთაში ხელი ჩაევლო სალო გართიაშვილს, რომელიც მოხუცობისაგან ფეხზე ძლივს იდგა.

ფიქრობს, ფიქრობს მიტო და დაბორიალებს რკინიგზის სადგურის ბაქანზე. წინა დღეებსა და ღამეში საქობის ხევი მოვარდა. ღვარმა რიყე, მიაყარა ლიანდაგს. რკინიგზის აგენტმა მთელი სოფელი გამოიყვანა გზის გასაწმენდათ. ციებ-ცხელებისაგან დაუძლურებული მიტოც წამოდგა ზეზე. რაც ძალი და ღონე შერჩენოდა. მეზობლებს შრომაში არ ჩამორჩენია. გზა გაწმინდეს. სადგურის მორიგემ მეორე სადგურს აცნობა მატარებელი გამოუშვიო. აგერ ის. მხიარულად მოჰქრის, ორთქლის კვამლი ასდის. ნიშანსვეტს მოუახლოვდა და მოაკივლა. თამამად მოდის, მოსრიალებს კრიალა, გაწმენდილ ლიანდაგზე. მალე სადგურში შემოვა, ბაქანთან დადგება. აკი მიტოც მიეშველა მას. გზა გაუთავისუფლა ღვარის მოტანილ რიყისაგან. მიეხმარა დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად მას, მიტოს კი ვინ იბრალებს, ვინ ეხმარება თავი დააღწიოს ავადყოფობას?! არავინ, არავინ! ერთი კეთილი ჰყავს ძალო ნინო და ბიძია არჯევანი, მაგრამ მათაც თავისი თავი გაჭირვებიათ. ცუდად არის საქმე. ეს ოხერი ციებ-ცხელება თუ ამ შემოდგომითვე არ მოსცილდა. ზამთარში შეჰყვა, გაზაფხულზე, ტყემლის ყვავილობის დრომდე გაჰყვა. ფეხები მთლად დაუსივდება. სხეული დაუწყლულდება. ციებ-ცხელება წყალმანკად იქცევა. მაშინ მშვიდობით. ტკბილო სიცოცხლევ! ამ შემოდგომით... დიაღ. მალე უნდა მოიცილოს მიტომ სენი თავიდან. დღეს... ხვალ... ოქტომბერი ილევა. ნოემბერი დგება. დროა ოჯახის შვილმა ზამთრის შემა მოიტანოს შინ, ბინასაც ზაფხულში დამტვრეული კრამიტი გამოუცვალოს. სალო გართიაშვილი კი მის კუთვნილ გასამრჯელოს, სამი წლის ნამუშევარს არ აძლევს და არც მიცემას აპირებს. მოერიენ ჯანწართმეულ კაცს და ვინ რად მისცემს რასმე ჯანგალეულს, გაყვითლებულ მომაკვდავს. ჯანდაბამდე გზა ჰქონია სალო გართიაშვილს. მიტოს მისი დარდი მოცილებული აქვს. საქმე ის არის, რომ ძალო ნინო ერთი კვირა არა სჩანს, შინ არ ბრუნდება. როდემდე გასტანს ასე? ზამთარი კი კარზე მომდგარა. აკი წინა ღამით ცივი წვიმა დაასხა გომბორს. უცებ კი არ ჩაიხუვილა. ხან დაიკლებდა — თქორავდა. ხან მოუმატებდა — ღვართქაფად მოდიოდა. თოვლი კავკასიონის მთის მწვერვალებზე შემომდგარა. როგორც კიბეზე. ძირს. ბარისაკენ მოიწევს წყეული.

— მიტო, ბიჭო; აკი შენა ხარ ეს! — ესმის ხმა ციებ-ცხელებისაგან დასუსტებულ ბიჭს. ის იხედება ხმის გამცემისაკენ. მის წინ მატარებლიდან ეს არის ძირს ჩამომხტარი, მიტოზე ათიოდე წლით უფროსი კაცი დგას. სწორედ ეს არის სალო გართიაშვილი, ჩოდარი და მეჯოგე.

— დიახ მე გახლავართ. რა გნებავთ. სალო!

— შენ გაზრდას გაიქე, ადი ჩემსას, შინ ქედალში. შეჰკაზმე ცხენები და ჩამოიყვანე. შევჯდები და გავსწევ აქედანვე გაღმით.

მიტო უარის ნიშნად. თავს აქიცინებს. არა, არა, კი არ დაზარებია ზემოთ. მთის წვერზე წამოდგმულ სოფელში ასვლა. დიდი შელმართის ავლა. ხევხუვების გადალახვა, მის ღონეს აღემატება. და ძალიან კარგი, რომ აღემატება... რომ არ შეუძლია... მიტოს დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვს მის მტარვალს, სალო გართიაშვილს როგორმე აწყენინოს, გული დასწვას და ატკინოს, უპატივცემულო მოქცევით შეურაცხყოს. ახლა აქვს ამის შესაძლებლობა, დღეს და არა ხვალ. მაშ, რად არ მოიყვანს სისრულეში მის განზრახვას? სალო გართიაშვილი სამი წლის ნამუშევარს არ აძლევს და არც მისცემს. მაშ, დაუდგა მიტოს სამაგიეროს გადახდის შემთხვევა და გადაუხდის კიდევაც.

სალოს კამეჩი ედგა ალაზნისპირა ტყეებში. სამი წელიწადი უდგა ჯოგს მიტო მარდაშვილი. სალომ კამეჩები უეცრად მიჰყიდმოჰყიდა. დაავადებულ მწყემსს ხელფასში ფეხმოტეხილი ზაქიც არ მისცა. შინ ცარიელ-ტარიელა გაისტუმრა. ღმერთმა უშველოს ძალო ნინოს და, ბიძია არჯევანს — ისინი არ ყოფილიყვნენ, ისინი არ მიშველებოდნენ, მიტოს სიცოცხლე საფრთხეში იყო, დიდი ხანია სამარეში იდებოდა.

— აჰა, ბიჭო, ვერ აირბენ ზემოთ სოფელში?

— ვერა, არ შემიძლია, დამეხსენი. შენ შენი ღმერთი! კარგადაც რო ვიყო მაშინაც არ გაგეგზავნებოდი! — მიახალა ჩოდარ-მეჯოგეს მიტომ. შემოტრიალდა, ზურგი შეაქცია, თვალი მოარიდა მის მძარცველ მტარვალს. მოჩქარებით გაეცალა იმ ადგილს სადაც სალოს ხმა გაიგონა და ზედ დაეჯახა ვიღაც უცხოს, რომელიც მატარებლიდან ის არის ძირს გადმოსულიყო. მიტომ თვალი შეასწრო უცხოს. პიჯაკზე ხაკისფერი უხეში პლაშჩი აქვს წამოსხმული, თავს ფეტრის გახუნებული ქუდი ხურავს. ცალ ხელში, იღლიის ქვეშ წიგნები სჩრია, მეორეში მძიმე ჩანთა დაჰპროწიალებს. ჩანთაზე თალათინებით მიმაგრებულია პატარა, კოხტა, კრიალა, თითქოს ვერცხლისაგან გაკეთილი სათამაშო ბარი. სულ ისეთი, როგორი ბარითაც ბიძია არჯევანი გაზაფხულზე ვენახს ეცემა ხოლმე საბარავად. ოღონდ ძალიან პატარა. ძალიან პატარა. ისეთი, როგორსაც ხუთი წლის ბიჭუნაც ადვილად მოიხმარს.

— უკაცრავად! — უხდის ბოდიშს უშნოდ მიხლისათვის.

— არა უშავს. არაფერი მტკენია ასეც მოხდება ხოლმე. კაცი კაცს მიეხლება და არა მთა მთასა. — ეუბნება უცხო და პირდაპირ

... მიწაზე დაეცა... ციებ-ცხელებამ შეუტია. უცნობი საჩქაროდ წამოდგა, პლაშჩი ნამჯაზე გადააფარა, ზედ მიტო დააწვინა.

ეკითხება სათნო ხმით. — თქვენ, ახალგაზრდა კაცო, იქნებ კოლოთოს ხევი გაგიგონიათ?

— დიახ, გამიგონია და ვიცი კიდევაც სადაც არის.

— გზა მიმასწავლეთ იქამდე. თუ გამაცილებთ კოლოთომდე, კიდევ უკეთესი იქნება. სამაგიეროს პატივს გცემთ. რაც შემიძლია, ვალში არ დაგრჩებით.

—რატომაც არა. კოლოთო ვიცი სადაც არის. გაგაცილებთ კი არა, მიგიყვებით იქამდე. მერე მე შინ დავბრუნდები.

როგორღაც თითქოს დაუფიქრებლად დაეთანხმა. ძალიან ნდობის აღმძვრელი ჩამოლაპარაკება ჰქონდა უცხოს.

ამ დროს დიდ ხანს ფეხზე დგომით, ბაქანზე ბორიალით მიტოს ძულებმა უსუსტეს, უეცრად ჯანი დაელია, საცაა წაიქცევა, მიწაზე გაიშოტება, რომ ახლოს კედელი არ იყოს. ეს რა ჩაიდინა მიტომ?! ფეხზე ძლივს დგას და ამ უცხო, როგორც გარეგნულობიდან ეტყობა, სახათრო პირს, კოლოთოს ხევამდე გაყოლას დაჰპირდა. შესძლებს დანაპირების შესრულებას? როგორ, რა ჯანით? აქედან კოლოთოს ხევამდე ოცდახუთ კილომეტრზე მეტია.

— რამდენს გამომართმევ, ყმაწვილო? — ეკითხება უცხო.

—ჰმ! რაღა დროს ყმაწვილია. იყო ყმაწვილი და ახლა ციებ-ცხელების პური გამხდარა. დღეს არა, ხვალ კისერს მოუგრეხს ხენი. მაგრამ, დახე, საიდან მოდის ეს ოხერი სიტყვები:

— კოლოთოს ხევამდე კაცის მიყვანა-გაცილებაში სასყიდელის აღება მე ჯერ არ გამიგია. არაფერს არ გამოგართმევთ. ოღონდაც, ეს ოხერი ფეხები მებლანდება, იქამდე მისვლა ქვეითად გამიჭირდება.

— მაგ სადარდელს მე მოუვლი. — ეუბნება უცხო. აქ უთუოდ ეტლი იშოვება. ავიყვან, ჩამიჯექ და გავსწიოთ ერთად.

— ეტლები ყველა ლაგოდეხისა და მაწიმისაკენ წავიდნენ. კოლოთოსაკენ ახლა მხოლოდ ლეკის ურმები მიდიან, რომლებმაც წუხელ, გაღმა ყავახჩელიდან ყურძენი, ხილი, გოგრა, ჩირები და ზამთრის გულაბი მსხალი გამოზიდეს. ის ცარიელი ურმები შინისაკენ მიდიან. გზა კოლოთოზე უძევთ. იქიდან კი მილარზე გავლით ალაზანს გადავლენ ბორნით ამაღამ.

— ურმები.. აბა, სად დგანან?

— იქით ბულაღებთან ბინაობდნენ ლაგოდეხისა და თურქურმიშის გზების შესაყართან.

— კეთილი! მაშ, გავწიოთ ბულაღებისაკენ, ურმებთან. — თქვა უცხობმა და ჩანთა ზურგზე აიკიდა. მიტოს არ ეგონა, ვერ წარმოედგინა, თუ სწავლული კაცი სამგზავროთ ურემს იკადრებდა, ან ტვირთის ზურგზე შემოდებას არ იუკადრისებდა. ამიტომ, მთლად მოხიბლული, უსიტყვოდ გაჰყვა უკან. ფეხდაფეხ მისდევდა. ეჩქარებოდა ბულაღებამდე მისვლა, იქიდან კოლოთოსაკენ გამგზავრება, თუნდაც იმიტომ, რომ თავისი ორი თვალით ენახა, როგორ ჩაჯდებოდა და მოთავსდებოდა ურემზე ეს უცხო, სწავლული კაცი.

ბულაღებთან მაშინ, იქ, სადაც დღეს ლაგოდეხის და წითელწყაროს რაიონების მოქვიშულ-ასფალტირებული გზების გასაყარია, ბოძალში მართლაც შენიშნეს მეურმეები. ლეკებს თხის ტყავები გაეშალათ, ხელები აღეპყროთ, ლოცულობდნენ. რქებით ურმის თავს მიბმული კამეჩები კი თივას ახრამუნებდნენ. მიტო მორჩილად მიჰყვებოდა უკან უცხოს. მერე, სანამ დაიძრებოდნენ, მათთან ერთად ჩამოჯდა ბექობზე. იქ რამდენჯერმე გამოელაპარაკა კიდევაც უცხოს.

— კოლოთოს ხევზე რად მიდიხართ?

— საქმე მაქვს, — იყო პასუხი.

— იქ თქვენისთანა კაცს რა საქმე უნდა მისწევდეს! ცარიელი ხელის გულივით მოშიშვლებული ადგილი. კაკაბი კი, გაგიხარია ბევრი იცის.

— დიახ, ცარიელი ადგილია. — დაუდასტურა უცნობმა.

— კოლოთოზე წვიმა ისევე მოდის, როგორც წნორზე. ეგ წიგნები იქ სად უნდა შეაფაროთ?

— ვიცი, რომ ეგ მაგრეა.

— და მაინც მიგაქვთ ეგ წიგნები? დატოვეთ აქ. მე მათ ჩემ ფიცრულში დავაწყობ, ხელს არავინ ახლებს.

— არა, მე ყველგან მათთან ერთად დავდივარ. შეხედე, არც იმდენია, რომ ზიდვა გამიჭირდეს.

— მაგათ ზიდვაში მეც მოგეხმარებით. ხა-ხა-ხა — გადაიხარხარა მიტომ და სიცხისაგან გამოთეთრებული სახა გამოაჩინა.

— რა გაცინებს? — შეეკითხა უცხო.

— კოლოთოს ხევში, ხირსის მინდორზე, მორიელების მეტს ვერაფერს წააკითხებთ და ასწავლით მაგ წიგნებს. იქ, ბავშვები კი არა, დიდიც არ გაივლის კვირაში ერთხელ, თუ არა კაკაბზე მონადირე.

— რა სთქვი? რა მინდორიო? როგორ თქვი?

— ხირსის მინდორი-მეთქი!

— „ხირსის მინდორი!“ — გაიმეორა უცხომ. ფანქარი და წიგნაკი ამოიღო უბიდან, ჩაიწერა და გაიმეორა: „ხირსის მინდორი!“ მომწონს, კარგი სახელია, საამოდ ისმის. თუ იქ ის ბავშვი დაიბადა, რომელსაც მოველით, მაგ სახელს ვუწოდებთ. მითხარი, აქეთ როგორი ვაზი და ყურძენი იცის?

— ვაზი ისეთი იცის, როგორც ყველგან ამ ჩვენს მხარეში. — უთხრა მიტომ. — ყურძენი კი სხვა საქმეა. ის განსხვავდება სხვა ამ მხრის სავენახეებიდან.

— აბა, თუ მეტყვი რასმე მაგ განსხვავებაზე!

— როგორ ვერ გეტყვით, — ცოტა არ იყოს, ნაწყენის კილოთი მიუგო მიტომ. — წნორი, ბოდბისხევის ბოლოებიდან მოყოლებული, მთელ გომბორის კალთაზე ხირსა-ჭალიხევის მიმართულებით სავენახეები იმით გამოირჩევა ამ მხრის სხვა სავენახეებისაგან, რომ ძალიან ტკბილი საჩამიჩე ყურძენი იცის. ისეთი საზარი, გულის ამგდები ტკბილი კი არა, როგორც სათათრეთში. არა. ნამდვილად ტკბილი, გულის მპოვნელი, მკვებავი, სურნელოვანი. აქაურ ყურძნის შომბანგავ სუნს შორიდან გამოიცნობ სხვა ყურძნებს შორის.

— ეგ მითხარი კარგათ, ეგ. მართლა აგრეა?

— აბა, ფიცი რად გინდა! ბიძაჩემი არჯევანი და ძალუაჩემი ნინოც ამას გეტყოდნენ. და კიდევ — აქაურ ყურძენს შესანახად არ ჯობია რა, ღვინოც ხომ დიდებული დგება, თუ ჭაჭას შეურევ ქვევრში და ასე დაადუღებ. თუმცა, როგორ გითხრათ, გაგაგებინოთ ეს? თქვენ ღვინოს ყადრი საიდან უნდა იცოდეთ. მე, ბიძაჩემი და ძალუაჩემი კი არა, სიღნაღელი სირაჯებიც ამას გეტყვიან. ერთს კვირაში იმათაც ნახავთ სოფლებში რუმბებითა. თქვენ ეს თითქმის არც გჭირდებათ, აკი წიგნებს ასწავლით.

— გატყობ, მასწავლებელი გგონივარ.

— მასწავლებელს [illegible]ხართ ძალიან.

— მაინც, რით ვგევარ მასწავლებელს?

— წიგნები დაგაქვთ და, თუნდაც იმიტომ რომ, ურმით სიარული მასწავლებლებს არ სცხვენიათ სხვა სწავლულთა შორის.

უკანასკნელი სიტყვები მოჩქარებით თქვა მიტომ. ზოგ სიტყვას ბოლოები მიაკვნიტა. აძაგძაგდა, მიწაზე დაეცა, კბილები აარაკუნა, ციებ-ცხელებამ შეუტია. უცნობი საჩქაროდ წამოდგა. ბრეზენტის ხაკისფერი პლაშჩი ნამჯაზე გადააფარა, ზედ მიტო დააწვინა. მალე ჯიბეში ჩაიყო ხელი. პაპიროსის სიფრიფანა ქაღალდში რაღაც ფხვნილი გახვია. ძალით ჩაუდო პირში ავადმყოფს.

— ქინა! — წამოიძახა მიტომ.

— ქინა-ქინა! — დაუდასტურა უცხომ.

— მაპატიეთ, ბატონო! ექიმი ბრძანებულხართ, მე კი მასწავლებელი მეგონეთ. ახლა ვიცი, რადაც მიბრძანდებით კოლოთოსა და ხირსაში. იმ მიდამოებს ვაქირელები ხნავენ, ცხვარი და საქონელიც იქ უდგათ ზამთრობით. ამას წინათ, მგონია გასულ შაბათ სალამოს, მწყემსები ღვინოს დახარბებიან. დასძინებიათ. ცხვარს მგელი დასხმია, ორი მწყემსი დაშავებულა. მათ უნდა უმკურნალოთ?

— კაცო, — გაჯავრდა უცხო — წამალი შეირგე, ძალა მოიკრიბე, კოლოთოს ხევამდე მიმიყვანე და მერე ვნახოთ ვინცა ვარ.

უცხოს ლეკები მიეხმარნენ. მიტო ასწიეს, თივიან ურემზე დასდვეს და გზას გაუდგნენ. ავადმყოფმა თვალი დახუჭა და ასე გარინდებული, თუ მძინარე, დიდხანს იყო.

ნაშუადღევს ლეკებშა კამეჩები თავქვე მოაბრუნეს. ალაზნის ველის დიდ სიღრმეს მისცეს თავი. ავადმყოფს სიცხე გამონელებოდა, თუ როგორ იყო, ახლა არა უშავდა რა, თავს უკეთ გრძნობდა. როცა ურემი რიყნალზე შედგა, სკუპით ურმიდან ძირს გადმოხტა. მერე უცნობსაც მიეხმარა ძირს ჩამოსვლას. მიტო მიუბრუნდა მას და საუვედურის კილოთი უთხრა:

— აჰა, ეს არის კოლოთოს ხევი! არა, მიჩვენე, რამ გაშოგიტეუა აქ? რად წამოსულხარ ამ უდაბნოში და ვის ხედავ გარშემო?



— აჰა, ეს არის კოღოთოს ხევი!... კოღოთოზე ციხე-ქალაქი გინდა ააგო?
— ეგ მერე ვნახოთ!—მტკიცე ხმით ჩაილაპარაკა უცნობმა და თვალი მოავლო იქაურობას.

— აკი შენ აქ ხარ. კიდევ ამას წინათ რა სთქვი? კაკბებიც ყოფილან!

— ჰო, მე კი ვარ. მერე ამით რა? კოღოთოზე ციხე-ქალაქი გინდა ააგო?

— ეგ მერე ვნახოთ! — მტკიცე ხმით ჩაილაპარაკა უცნობმა. თვალი მოავლო იქაურობას. ცივი გომბორის კუზიან გორაკებზე, დაბალ ჯაგებს, ხეებს ფოთოლი დამწიფებოდათ. ნაბინავრებზე ამოსულ მამლიბიბილოს და ჯიჯილაყას ცეცხლი ეკიდა. ერთბაშად სიწითლე გადაჰკრავდა ყველაფერს. გადახრილ მზისაგან ძირს, ველზე გაწოლილიყვნენ უსაზმანო ჩრდილები. მილარის ნაბამბარებზე საძოვრად გაშლილიყო თეთრი ღრუბელივით ერთბაშად მიწას გაკრული ცხვრის ფარები. შორს, ალაზანსა და მის ნაპირა ტყეებს ორთქლი ასდიოდა. ამ სანახაობით მოხიბლულმა მიტომ უეცრად მიმართა უცნობს:

— თქვენი ვინაობა ახლა მაინც გამაგებინეთ.

— კონსტანტინე მოდებაძე გახლავართ. მერე რა? თქვენ რას გეუბნებათ და შეგაგონებთ ჩემი სახელი და გვარი.

— რაკიღა გგონიათ, რომ ადამიანს თქვენი სახელის და გვარის თქმით ვერაფერს ეტყვით, მაგას არც მე გეკითხებით. — გულმოსულად შეუბრუნა სიტყვა მიტომ. — თუ ექიმი და მასწავლებელი არა, მაშ ვინა ხართ?

თითქოს კითხვა მას არ შეეხებაო, მოდებაძე ერთ ხანს დუმდა, მერე თვითონ მიმართა მიტოს:

— შენ უთუოდ შინ დაბრუნება გინდა. მე კი...

— ამ ტრიალ მინდორზე დარჩები! — დაუმთავრა სათქმელი მიტომ.

— ეგ არის ჩემი ამოცანა და...

— მე კი წავიდე, ლაჩრულად გაგცილდე, მიგატოვო ერთი კაცი მარტოდ უცხო მინდორში? მაშინ ჩემთვის ქართულად გამარჯობა არავის უთქვამს!

— ბიჭო, ავად ხარ და...

— მაინც თქვენთან მირჩევნია ყოფნა.

— თქვენი ნებაა.

— მაშ, თქვენთან ვრჩები.

— რაკიღა ასეა, ღამის გასათევი ადგილი მოვძებნოთ. თორემ ხომ ხედავ, ღრუბლები როგორ შეაწვა მთას.

— მე ის უკვე დიდი ხანია აღმოვაჩინე. აგერა! ძველ ნაგომურალში მოვაწყობ დასაწოლსა და კერას — ცეცხლის დასანთებად. იმაზე უკეთესი ადგილი აქ ხირსაზე არ არის.

— რადა, ის ნაგომურალი ისეთი რა წითელი კოჭია? — იკითხა კონსტანტინე მოდებაძემ.

— შეხე, — აუხსნა მიტომ, — აქეთ გორა, იქით გორა, უკან მთელი მთაგრეხილია, რომ, თუნდაც წარღვნა მოვიდეს, მანდ ვერხვს ფოთოლი არ აუთამაშდება. ზემოთ პატარა წყაროც გამოწანწკარებს. ჰაი!.. ჰაი!.. ერთი მაგის წელი და ამყოლი მეზობელი მომცა და სულაც მანდ დავსახლდები..

— თუ ეგ ადგილი ეგეთია, ვაზის სადედე და სანერგე მანდ გამიმართავს.

— მითხარით-მეთქი, რა საქმის კაცი ხართ! მიწის მუშას სულ არ გევხართ და მიწას კი კარგად სცნობთ. — თითქმის შეჰყვირა მიტომ და წყნარად დაამთავრა: მაგ ადგილის სადედე-სანერგედ ამორჩევას ბიძაჩემი არჯევანი და ძალო ნინო მოგიწონებდათ...

— აგერ მესამედ გავიგონე — ნინო და არჯევანიო. ვინ არიან?

— აკი მოგახსენეთ, ბიძა და ძალუაჩემი-მეთქი. ნეტავი ახლა მათთან ახლოს ვიყოთ, ნახავდი რა მადლიანი ხალხიც არიან. ბიძაჩემი სველი ხელადით ღვინოს გამოგვიტანდა, ძალუა — პურს, ყველს, წნილს. ჩვენებურ კაცს აბა მეტი რა უნდა.

მოდებაძეს მიტოს უკანასკნელმა სიტყვებმა ღიმილი მოჰგვარეს. პასუხის ნაცვლად კითხვაზე ნაგომურალის პირას ჩამოჯდა, ჩანთა გახსნა. ამოიღო ღია მიხაკისფერი სითხით სავსე ბოთლი, ჰოლანდური ყველის ყვითელი ნაჭერი, რამდენიმე ცალი „მშრალი კატლეტი". ყველაფერი გაშლილ გაზეთზე დაალაგა, ბოლოს ჯიბიდან ჭიქაც ამოიღო. როცა წამალი კვლავ მიაღებინა მიტოს, უბით სატარებელ პატარა სასმისში იმ ბოთლიდან სასმელი დაასხა და მიაწოდა. მიტომ გამოართვა, „სიმწარე გაშოროთო" — უთხრა მოდებაძეს და გადაჰკრა. თავის მაღლა აწევისას პირველად გაუსწორა უცნაურ კაცს—მოდებაძეს თვალი. გაუსწორა და სამუდამოდ აღებეჭდა მისი სახე და გარეგნული იერი მეხსიერებაში, კოღოთოს ეს უცნაური სტუმარი, 192... წლის ოქტომბრის თვეში. ტანად საშუალოზე მაღალი იყო. მაგრამ სიმაღლე არ ემჩნეოდა, რადგანაც კარგად მოვლილი, ნაფერავები სხეული ხორცშესხმულობისაგან ოდნავ განზე გასვლოდა. მეტად ძირსქელი შტიბლეტები ეცვა. ტანთ ემოსა შალის უბრალო ქსოვილის პიჯაკი და შარვალი. პიჯაკის გადაკეცილ გულისპირებიდან მოუჩანდა თეთრად ქათქათა პერანგი და შავი ჰალსტუკი ბრჭყვიალა ქინძისთავით. მიტო ყველაზე მეტად მისმა სახემ მოინადირა. მაღალ შუბლს ქვემოთ კონსტანტინეს მოლურჯო თვალები უკაშკაშებდნენ, თვალებში სიმშვიდის, სიწყნარის, სიკეთის მორვები უტრიალებდნენ, მათ ქვემოთ კი სქლად დაყენებულ, კოხტად შეკრეჭილ და შეჭაღარავებულ წვერსა და ულვაშში არც პირი უჩანდა არც ნიკაპი.

როცა მიტომ კონიაკი გადაჰკრა, მოდებაძემ კვლავ მიმართა მას:

— კიდევ გადაჰკარი, შეგარგოს. მერე მალე გასწი შინისაკენ. აგერა, იმ მეურმეებს გაჰყე, თორემ ძალიან სუსტად ხარ, ბიჭო.

მიტომ თვალი გადაჰკრა ველს და შენიშნა: ქედელი ფშავლების ურმები მიდიოდნენ წნორისაკენ ხორბლით მძიმედ დატვირთულები.

— არა, არ წავალ შინ, აქ, თქვენთან მამყოფეთ. შინ არავინ მიმელის! ესეც არ იყოს, დღეს კოღოთოზე წამოსვლა მომინდა, ვრჩები თქვენთან.

— თუ აგრეა, ბარემღა ღამის გასათევი ადგილი მოვაწყოთ.

— ეგ ჩემზედ იყოს. — უთხრა მიტომ.

ბიჭი წამოდგა, პურის ნაჭერი ყველითურთ ხელში დაიჭირა, მალე ძეძვების ბუჩქნარის გადაღმიდან ერთი ზურგი ხმელი ბალახი მოიტანა. დანგრეულ გომურის სოხანეზე დაჭყარა და გაშალა.

როცა საწოლი ხელებით გაათანაბრა, დაარბილა, სასთუმლად ქვები დაიწყო. ამასობაში კონსტანტინე მოდებაძეს სუფრა აელაგებინა, ძეძვის ძირას წამოწოლილიყო — გაშლილ წიგნს ჩასჩერებოდა ისე, თითქოს ასეთ მდგომარეობაში კითხვა შესაძლებელია თუ არაო.

— ძალიან ვერანა ადგილებია. თქვენ უკვე მოგწყინდათ აქ. ამიტომ წიგნს კითხულობთ. თქვენ კი არა, ჩვენც, ამ ადგილს შეჩვეულ ადამიანებს, მოგვწყინდება ხოლმე აქ. მიზეზი? მისი უდაბურობაა! — შენიშნა მიტომ.

— ადგილი მართლაც ვერანაა, — დაეთანხმა კონსტანტინე. — შეიძლება კაცს აქ მართლაც მოეწყინოს, თუ ჩემსავით იცის, რომ ახლა, როცა მე და შენ აქ, ამ უდაბურ ადგილას ვართ, თბილისი — მთელი ის ვეებერთელა ჩვენი ქალაქი — ოქტომბრის დღესასწაულისათვის ემზადება.

— განა აგრე დასანანად გაქვს ახლა აქ ყოფნა? — შეიკრა წარბები მიტომ.

— თბილისის სახით, კარგი რამ დამიტოვებია — მენანება. უკეთეს ადგილს რომ მოუყვანივარ ფეხს, აგერ ხირსის მინდორზე — ეს მახარებს.

— ეგ როგორ? — თითქმის შეჰყვირა მიტომ. — ნუთუ თბილისში ყოფნას აქ ჯობს?!

— მე და შენ, ჩემო ახლო მეგობარო და მასპინძელო, აქ, ამ უდაბურ ადგილას შევხვდებით დღესასწაულს. აბა, წარმოიდგინე, როგორი იქნებოდა ეს ადგილი, მე და შენ რომ აქ არ ვიყოთ?

მიტომ გაოცებული თვალი შეავლო მოდებაძეს. აბა, სალო გართიაშვილიც კაცი იყო და ეს უცხოც. ისინი ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, როგორც ჭაობის წყალი განსხვავდებოდა რქაწითელს ზედაშისაგან. და მიტოს ახარებდა, რომ ამ ზედაშით სავსე ქვევრის გარშემო ტრიალებდა.

ამ დროს მოდებაძემ წამოიწია გვერდის საცვლელად. წიგნი დაუცურდა და თავისით გადაიშალა. მიტომ თვალი ჰკიდა წიგნის პირველ გადასაშლელზე ჩაკერებულ სურათსა და შეეკითხა:

— მანდ ეგ ვინ ხატია?

— ეს... ლენინია!..

— მადლობა უფალს. გამიგონია, აი, თურმე როგორი ყოფილა! აბა, ხელში აიღე და მაჩვენე კარგად.

მოდებაძემ წიგნი ასწია, გადაშალა, მიტოს ხელში ჩაუდო. ის კი შეეკითხა:

— აქ დიდხანს დარჩებით?

— სანამ საჭირო ვიქნები. — მიუგო მოდებაძემ.

— რას გააკეთებთ? სადედე-სანერგე ადგილი სად გინდათ, აქ სოფელი ხომ არ უნდა დადოთ?

— აქ, ამ ადგილს მევენახეობის მეურნეობას მოვაწყობთ, ამ მიდამოებში ზვრები და ბაღები გაშენდება. იქ კი, სადაც ჩვენ ვართ ახლა, საცხოვრებელი ბინები, მარნები და მანქანები დაიდგმება.

— მაშ, მევენახე ყოფილხართ.

— მიმიხვდი და, რაკიღა აგრეა, მოდი დავაჩნიოთ ამ ჩვენ მოწონებულ ადგილს ჩვენი კვალი. მოიტა ჩემი ხელბარი!

მიტომ მაშინვე მოარბენინა იარაღი.

— აბა, დაჭკა მიწას!

მიტომ დაჭრა ბარი მიწას, მაგრად უკდო ნიადაგს ფოლადი, ბელტი ამოაგდო. კონსტანტინე მოდებაძე სწვდა ახლად ამოყრილ გოროხებს, ერთი ბეწო მიწა ცერითა და სალოკი თითით წვეთ სითხეში გალესა, მიტოს ახლოს მიუტანა და შეეკითხა:

— როგორია?

— ერბოა! — უთხრა მოწონების ნიშნად მიტომ.

მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა, მიტო — დიმიტრი მარდიაშვილი — შვილებისა და შვილიშვილების პატრონია. კონსტანტინე მოდებაძე? გარდაიცვალა. კოღოთოს ხევი? ახლა იქ საქართველოში კარგად ცნობილი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაა. მიტო აქ ბარის პირველად დაკვრიდან ცხოვრობს და მისმა სტუდენტმა შვილიშვილმა არ იცის, რამდენი სიამე, შრომა და ბედნიერება განუცდია იმ საყვარელ ადგილებზე პაპას. და აი, ეპატიჟება თბილისელებს. მე კი ნამდვილად ვიცი, შვილიშვილი სამუშაოდ წასვლას, სწავლის დასრულების შემდეგ კოღოთო-ჭალიხევში აპირებს. გადაწყვეტილი აქვს პაპას გვერდში ამოუდგეს.

იცი თუ არა შენ, რომ:

ყოველი წუთის განმავლობაში საბჭოთა კავშირში მზადდება:

102 ტონა ფოლადი;

883 ტონა ქვანახშირი;

ერთი ავტომობილი;

14 კილომეტრი ქსოვილი;

262 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი;

40 სხვადასხვა სახის საათი;

8 რადიომიმღები და ტელევიზორი;

ბავშვის, ქალისა და მამაკაცის 600 წყვილი ფეხსაცმელი;

2.500 ცალი წიგნი;

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვანახშირის ამოღება 1951 წლიდან 1954 წლამდე შემცირდა 144 მილიონი ტონით, საბჭოთა კავშირში ამავე პერიოდში ქვანახშირის ამოღება 140 მილიონი ტონით გაიზარდა.

სამრეწველო პროდუქციის წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში 1929 წლიდან 1951 წლამდე მხოლოდ 2,1 გაიზარდა, საბჭოთა კავშირში კი 18-ჯერ.

ამერიკავკასიაში 1914 წლამდე მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი იყო, ახლა კი 50.

მეფის რუსეთში გამოდიოდა 859 სახელწოდების გაზეთი 2,7 მილიონი საერთო ტირაჟით, საბჭოთა კავშირში კი 7 ათასზე მეტი გაზეთი გამოდის 50 მილიონი საერთო ტირაჟით.

მეფის რუსეთში გაზეთები მხოლოდ 13 ენაზე გამოდიოდა, დღეს საბჭოთა კავშირში სამოცამდე ენაზე გამოდის. საქართველოში 1913 წელს 400 ათასი ცალი წიგნი იქნა გამოშვებული, ახლა კი ყოველწლიურად 10 მილიონზე მეტი წიგნი გამოდის.

ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუზომელი ზრდის წყალობით მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც რევოლუციამდე 32 წელს შეადგენდა, დღეს 64 წლამდე გაიზარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაემხო ძველი სამეფო

დაემხო ძველი სამეფო
მტარვალთა ბატონობისა
და მის ნანგრევზე აშენდა
ტაძარი კაცთა ძმობისა.
განთავისუფლდა ქვეყანა,
გმინვა ამოხდა შვებასა,
და კიდის-კიდე მოედო
ამბავი გამარჯვებისა.

ლენინ ოქტომბრის ბელადო!

ლენინ, ოქტომბრის ბელადო,
შენ არა ხარ ჩვენთვის მკვდარი,
მთელს მსოფლიოს გააღვიძებს
შენგან შემოკრული ზარი.

მართალია მოკვდი, ლენინ,
უდროოდ დახუჭე თვალი,
მაგრამ შენი საქმეებით
ხარობს ჩვენი მომავალი.

შენ იყავი მხნე, გულადი,
დაკვირვებით მუშის მცველი,
მჩაგვრელების კლანჭებიდან
ტანჯულ ხალხის გამომსხნელი.

შენით ხარობს ჩვენი ჯარი,
წინ მიუძღვის შენი მცნება,
კომუნიზმი ჩვენ გვიღიმის,
მტრები წელში იკეცება.

კომუნიზმის გამარჯვება
ასალკლდევებს მუშის გულსა,
გაუმარჯოს წითელ დროშას,
ლენინიზმით მოჭარგულსა.

ყვავილის ოქტომბერი

ბუხრის პირს ჩამოჯდებოდა...

ბუხრის პირს ჩამოჯდებოდა,
შვილი ჰკითხავდა დედასა:
მთიდან რომ ზვავი მოქანავს,
არა გლეჯავსა დეკასა?
ან ცივ მთაზედა დამრჩალსა,
არ სცივა იმა ბეჩავსა?

— შვილო, წინათა სციოდა,
არვინა ჰყავდა პატრონი,
მხოლოდ სტანჯავდა, ეგ იყო,
ერთი წყეული ბატონი.

ახლა კი ახალ დრო არის,
იანიც აყვავდებიან,
ია, ვარდი და დეკანი
ერთმანეთს დაუტკბებიან.

ახალ დრომ მოგვცა, იმედო,
ჩვენ ესე ტკბილი ქონება,
მუშურ-გლეხურმა მთავრობამ
ყველას გაუხსნა გონება
და დაგვაშორა ძველი დრო,
ძველი ტყვეობა, მონება.

გულს ჩაინერგე ეს სიტყვა,
შვილო, გაზრდილო დედისა,
უკვდავი ლენინი არის
გამხსნელი ხალხის ბედისა,
დაუღალავად მებრძოლი
მტრის წინა, სისხლის მჩქეფისა.

მან გაიმარჯვა ხმელეთზე —
დალეწა ძველი ძალები
და ამოწყვიტა მთლიანად
ნიკოლოზისა ჯარები.

ვიხსოვნოთ, არ დავივიწყოთ
მისი გმირული თვალები.
ვინც დაივიწყებს, დავტანჯოთ,
არ არის შესაბრალები.

სალამი, ჩემო სამშობლოვ!

სალამი, ჩემო სამშობლოვ,
საბჭოთა საქართველოო,
ორთავ ზღვას შუა მდებარე,
ზურმუხტო მინდორ-ველოო;

ზოგან ზეცაში აჭრილო
ქედებო, თვალის მჭრელოო,
ნაირ-ნაირო ყვავილო,
დუშმანის გულის მკვლელოო.

არ დავივიწყებთ არასდროს!

დიდი ლენინის სიტყვები
ფრანგულ ხმალივით სჭრისაო,
სინათლეს ნახავს შორადა,
გამკაფავია გზისაო.

მის სიტყვებ აღარ მოკვდება,
ფოლადის ციხის კარია.
არ დავივიწყებთ აროდეს,
მანამდე მზე და მთვარია,

მანამდე ჰყვავის სამყარო,
ქვეყნად ბუნების ძალია.
რაც რომ სიმართლე ვიპოვე,
სულ მაგის ნაუბარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ლიგვეიკო

ნახატები დ. ხახუტაშვილისა

ჩვიდმეტ წელს*

ჩვენს რაიონში პარტიის ყველაზე ახალგაზრდა წევრები ოთხნი ვიყავით: მიხაილ დუგაჩევი, ანატოლ პოპოვი, სერიოჟა ბისტროვი და მე.

მაისში ცალკე შეკრება მოვაწყვეთ მიხაილ დუგაჩევის ინიციატივით. მახსოვს, ასე გვითხრა: „მუშა ახალგაზრდები სულით და გულით მიისწრაფვიან რევოლუციურ ბრძოლისაკენ, მაგრამ სწორ გზას ხშირად ვერ ადგებიან ხოლმე... ფაბრიკის ბიჭები რაიკომის გარშემო უნდა დავრაზმოთ; ჩვენც ხელს შეგვიწყობენ მუშაობაში და თვითონაც პარტიაში შევლენ შემდეგში".

გადავწყვიტეთ, სათითაოდ მოვლაპარაკებოდით ჩვენთან მომუშავე ახალგაზრდებს.

ასე ჩაეყარა საფუძველი პრესნაზე მუშა ახალგაზრდობის კავშირს.

სადილის შესვენებაზე შევკრიბე ჩვენი საამქროს ქალები. ვუამბე ბოლშევიკური პარტიის შესახებ — რისთვის იბრძვის და რისკენ ისწრაფვის; ისიც დავუმატე, რომ კავშირში ვისწავლით, კონცერტებსა და საღამოებსაც მოვაწყობთ-მეთქი.

ამის შემდეგ, ყოველ საღამოს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდები რაიკომში ვიკრიბებოდით. 1905 წლის რევოლუციის მონაწილე ძველი ბოლშევიკი ეაროვი პირველი რევოლუციის ამბებს გვიამბობდა. რაიკომის წევრი კოლაჩევი საზღვარგარეთ ემიგრაციაში მყოფ ბოლშევიკზე გვიყვებოდა, გვეუბნებოდა ლენინის მუშაობაზე, რომელსაც ემიგრაციაში გასცნობოდა: სლესარევი გვიხსნიდა, რა ამოცანები ჰქონდა ახლა ბოლშევიკების პარტიას. ამას ოფიციალური მოხსენების სახე როდი ჰქონდა. თავისთავად ხდებოდა: შევიყრებოდით ახალგაზრდები, უფროსებიც შემოვიდოდნენ და ჩვეულებრივ ვსაუბრობდით.

არჩეულ იქნა მუშა-ახალგაზრდობის კავშირის პირველი რაიკომი: მიხაილ დუგაჩევი, ანატოლ პოპოვი, ვასია უსტინოვი, სერგეი ბისტროვი, სერგეი იაკოვლევი, ტანია რიბაკოვა და მე. ტანია ჩვენს საამქროში ყველაზე მორიდებული და შეუმჩნეველი იყო, ახლა კი ყველამ ვიწამეთ და დავიჯერეთ მისი. მდივნად დუგაჩევი ავირჩიეთ. გადავწყვიტეთ, კავშირის წევრებისათვის ბილეთები დაგვერიგებია, როგორც წესი და რიგი იყო. ბეჭდითა და ხელმოწერით.

ახალგაზრდებისათვის ლიტერატურულ საღამოებს ვაწყობდით. ვკითხულობდით გორკის „სიმღერას ქარიშხალზე" და „დედას", ნეკრასოვის ნაწარმოებებს. ვუამბობდით ახალგაზრდებს, რას წარმოადგენდა დროებითი მთავრობის ახალი შემადგენლობა, სადაც მენშევიკები და ესერები შევიდნენ, ან რად აგრძელებდა ის მთავრობა ომს.

კვირაობით ქალაქგარეთ, პოდმოსკოვიეშიც დავდიოდით. მახსოვს, ერთხელ მოსკოვის მაღალ ნაპირზე ვისხედით, კოლაჩევი ბოლშევიკების არალეგალურ მუშაობაზე გვიამბობდა, როგორ თავდადებით იბრძოდნენ ისინი რეაქციის წლებშიც კი.

ვინ მოთვლის, რაზე არ გვიხაუბრია ამ ლაშქრობების დროს.

გაზაფხულზე სახალხო მილიციის რაზმები ჩამოყალიბდა. იარაღს არიგებდნენ. ეს იარაღი მუშებმა ფაბრიკებში წაიღეს და იქ სადღაც გადამალეს. მერე მთავრობამ მოინდომა უკანვე წაერთმია იარაღი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ვითომცდა ქარხნის დასაცავად გამოსული მუშათა შეიარაღებული ჯგუფები, ათი-ხუთი კაცისგან შემდგარი, სამხედრო მომზდებას გადიოდნენ. ფედია ერთ ასეთ ათეულს მეთაურობდა.

ჩვენი კავშირის წევრებმა პირველსავე დღეებიდანვე მიიღეს დავალებები პარტიის წევრებთან ერთად. ჩვენი ბიჭები თავიანთ ქარხნებში აგიტატორებად მუშაობდნენ, უხსნიდნენ სხვებს, რა განსხვავებაა მენშევიკებს და ბოლშევიკებს შორის. ჩვენს ლოზუნგს: „მთელი ძალაუფლება საბჭოებსო!", ამხელდნენ დროებით მთავრობას.

მალე ჩვენი კავშირიდან პარტიაში შევიდა ჩემი ტანია (რიბაკოვა), ვასია უსტინოვი, პეტია ვორობიოვი, ფედია კისელევი (ლექსებს რომ სწერდა), სერიოჟა იაკოვლევი, საშა სოკოლოვი, ფედია კუჩეროვი და ბლოხინი.

* * *

ერთ საღამოს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ჩვეულებისამებრ რაიკომში წავედი. ვხედავ: ყველას დაძაბული, მკაცრი სახეები აქვთ. ფანჯრებზე გაზეთებია ჩამოფარებული, რატომღაც ხმადაბლა ლაპარაკობენ.

„რა საზიზღარი საქციელია! თავისუფლებაზე კი რამდენს ლაქლაქებენ!"

„რევოლუციას უღალატეს!"

„რა იყო, რა მოხდა?" — ვკითხე დუგაჩევს.

„პეტროგრადში მშვიდობიანი დემონსტრაცია დახვრიტეს. მეორე ცხრა იანვარი მოგვიწყვეს. ბოლშევიკებს იჭერენ..."

შემდეგ კოლაჩევი მოვიდა. სახეზე სერიოზული, მოღუშული გამომეტყველება ეწერა. მან თათბირი გახსნა. მახსოვს, ასე თქვა: „ფხიზლად უნდა ვიყოთ. შესაძლებელია პროვოკაცია მოგვიწყონ. პროვოკატორებს საბაბს ნუ მივცემთ. მუშების განწყობილებას თვალი ადევნეთ. ახლა კონსპირაციის გარეშე ვერ ვიმუშავებთ."

ამ საღამოს შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. რაიკომში ისე თავისუფლად აღარ უშვებდნენ. თათბირების დროს კარი იკეტებოდა, დასწრების უფლება ყველას არ ჰქონდა. რაიკომის სიები და საბუთები ყოველი შემთხვევისათვის მუშათა ბინებში გადავმალეთ.

როგორ შევხაროდით ამ ცოტა ხნის წინათ მხიარულ თებერვალს! ქალაქში დავქროდით, გვიხაროდა რევოლუცია; ახლა კი გავიგეთ, რომ მთავრობაში კვლავ მემარჯვენეებს გაუმარჯვნიათ, ლენინი ისევ არალეგალურ მუშაობას ეწევა.

გავიდა ორი-სამი კვირა. საღამოს ერთ-ერთ რაიკომის კრებას ვესწრებოდით.

კოლაჩევს ხელში ბლოკნოტი ეჭირა და გვიამბობდა: ეს-ესაა დამთავრდა ბოლშევიკების პარტიის V ყრილობა. დროებით მთავრობასთან აღარავითარი მოლაპარაკება აღარ შეიძლება; ხელისუფლება ძალით უნდა ჩავიგდოთ ხელში. დროა, შეიარაღებული აჯანყებისთვის მოვემზადოთო.

ყრილობის ამბებს აქტივი უსმენდა, რაც უკვე კონსპირაცია იყო.

იმ საღამოს ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ახლოდება რაღაც დიდი, ყველაფერი იცვლება და ჩვენც მომზადებული უნდა დავხვდეთ... გულში რაღაც შეშფოთე-

* დასასრული. იხ. „პიონერი" № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულმა გრძნობამ დაისადგურა, მაგრამ მაინც მტკიცედ მწამდა, რომ ეს ერთადერთი გზაა, სხვა გამოსავალი არ არსებობს, რომ ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი მალე დაიწყებოდა.

* * *

მთავრობა თავს აღარ იკატუნებდა ხალხზე წინაშე. კერენსკი აღარ ტრაბახობდა, ხალხსაც არაფერს პირდებოდა, პირიქით, რკინითა და სისხლით იმუქრებოდა.

შუა აგვისტოში დროებითმა მთავრობამ მოსკოვში მრეწველთა და მსხვილ მემამულეთა სახელმწიფო თათბირი მოიწვია. იფიქრეს, აქ უფრო მეტი სიმშვიდე იქნება, ვინემ პეტროგრადშიო. მაგრამ მოსკოვიც ბობოქრობდა. ჩვენ ფაბრიკაში საყვირის შემდეგ მუშაობა შევწყვიტეთ და თეატრალურ მოედნისაკენ გავეშურეთ, თათბირი დიდ თეატრში მიმდინარეობდა — სწორედ იმ დიდ თეატრში, სადაც მე, ნადია და ტანია თებერვალში თავს ასე მყუდროდ ვგრძნობდით. ჩვენი დემონსტრაცია დაშალეს, პროვოკაციული შეტაკებაც ლამის არ მოგვიწყვეს.

თათბირის დღეებში დიდი თეატრისაკენ დაუსრულებლივ მიდიოდნენ მოსკოვის ფაბრიკა-ქარხანათა მუშები — პროტესტს უცხადებდნენ დროებით მთავრობასა და თათბირს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი შეკრებულობა თუ მანიფესტები ახლა აკრძალული იყო.

ღამღამობით ტანია, ვასია უსტინოვი და მე პრესნაზე დავრბოდით. თან პროკლამაციები, ვედრო და ფუნჯი დაგვქონდა, ბოლშევიკურ მოწოდებებსა და გაზეთებს ვაკრავდით. მე და ტანიამ ვასია იმიტომ წავიყვანეთ, რომ ამ სახიფათო დავალებებს შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყოლოდა, ვასია კი ყველაზე საიმედოდ მიგვაჩნდა.

ქალაქში ხმები გავრცელდა გენერალ კორნილოვის შეთქმულებაზე. ველოდით, რომ ბრძოლები მოსკოვშ-ც გაიმართებოდა.

მაგრამ კორნილოვის ჯარები იქვე, პეტროგრადთან გააჩერეს. ეს მოხდა 30 აგვისტოს, ხოლო პირველი სექტემბერი საერთაშორისო ახალგაზრდობის დღედ გამოცხადდა. ეს დღე ჩვენს ქვეყანაში პირველად ვიზეიმეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ივლისის დემონსტრაცია დახვრიტეს, მიუხედავად იმისა, რაც ამ თვეში მოხდა, ჩვენ უნდა მოგვეწყო ახალგაზრდების დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ. ახლა ეს არც ისეთი უბრალო საქმე იყო, ვიდრე ივლისამდე გახლდათ. წინათ დემონსტრაციაზე ყველას შეეძლო წასვლა. მთელი ქალაქი ქუჩაში იყო ხოლმე გამოსული. ახლა დემონსტრაციას ისეთი უწყინარი ხასიათი როდი ჰქონდა, ვიცოდით, რომ შესაძლოა პროვოკაცია მოგვიწყონ; ვიცოდით რომ ყველაფერი მოსალოდნელი იყო, — ცემაც, დარბევაც და დახვრეტაც კი.

გვჯეროდა, რომ აჯანყება მალე მოხდებოდა და ბრძოლებიც მალე დაიწყებოდა. ამიტომ დანარჩენი ჯერჯერობით განზე უნდა გადაგვედო.

და აჰა, აღსრულდა, რასაც ველოდით. ოქტომბრის ბრძოლები მთელი კვირა გაგრძელდა, მაგრამ ჩემთვის ის ერთი დიდი, განუწყვეტელი ბრძოლის დღე იყო, ყველაზე ბედნიერი ჩემს ცხოვრებაში.

დილით, ჩვეულებრივ, სამუშაოდ წავედი. ქუჩები სავსე იყო ხალხით, ტრამვაიები არ დადიოდა. გუშინ ყური მოვკარით, პეტროგრადში დიდი ამბები ხდებაო. და აი, ახლა ჩვენთანაც დაიწყო.

ფაბრიკის კომიტეტში რომ მივირბინე, ნატაშა ბოგაჩევა და ფადეევი მოწოდებებს კითხულობდნენ. ერთი სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს ეკუთვნოდა და ხალხს მოუწოდებდა შეიარაღებულ აჯანყებაში მიეღო მონაწილეობა. მეორე საზოგადოებრივ უშიშროების კომიტეტიდან იყო: ხალხს თხოვდა მშვიდობიანად ყოფილიყო და მუშაობა არ შეეწყვიტა.

ნატაშამ მაშინვე გადაწყვიტა: „მომეცი აქ ეგ „უშიშროება", სულ ნაკუწ-ნაკუწ ვაქცევ, რომ ეგეთი სისულელეები არავინ წაიკითხოს". ფადეევმა შეაჩერა, ფრთხილად დაკეცა საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის მოწოდება და მაგიდის უჯრაში შეინახა, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მოწოდება კი ფაბრიკის ალაყაფის კარზე გასაკრავად წაიღო.

ნატაშამ საჩქაროდ მაცნობა: „გუშინ ჯარისკაცები შევკრიბეთ, ისინი მზად არიან ჩვენ გამოგვყვნენ. ეს ამბავი მუშებს გადაეცი."

ფაბრიკა გაჩერდა, ფაბრიკის ეზოში მიტინგი გამართა, ამბობდნენ: დროებითი მთავრობა დაემხო, პეტროგრადში მთელი ძალაუფლება საბჭოების ხელში გადავიდა, ბოლშევიკებმა დეკრეტი გამოსცეს მიწასა და მშვიდობაზე. აქ, მოსკოვში, ბოლშევიკებმა უკვე კრემლი აიღეს, ტელეფონის და ტელეგრაფის ხაზი, გენერალ-გუბერნატორის სახლი ხელში ჩაიგდეს, პრესნაზე, ყველა ფაბრიკა-ქარხანა გაიფიცაო.

სიტყვაში მეც გამოვედი, ვთქვი:

„უნდა ავჯანყდეთ! სხვა გზა არა გვაქვს და არც შეიძლება იყოს".

მიტინგიდან პირდაპირ რაიკომში წავედით. რაიკომის ეზოში ფედია შინოგინს შეიარაღებული რაზმი ჩაემწკრივებინა, აქ მოეყარათ თავი ახლა ყველა „ხუთეულს და ათეულს", ცალკეულ ქარხნებში რომ იყვნენ დანაწილებულნი. იარაღი ყველას არ ჰქონდა. პეტია ვორობიოვი გაბრაზებული თხოვდა ფედიას, შაშხანა მომეცი. მიშა დუგაჩევი, ანატოლი პოპოვი და ყაროვი კრემლში გაემართნენ იარაღის მოსატანად: იქ 56-ე პოლკი იდგა, რომლის ჯარისკაცები რევოლუციურად იყვნენ განწყობილნი, და გვპირდებოდნენ რაიონების იარაღს მოგცემთო.

სამხედრო რევოლუციური კომიტეტის ბრძანებით შინოგინის რაზმი მოსკოვის საბჭოსკენ გაემართა.

ნატაშა ბოგაჩევას და მე დაგვავალეს რაიონულ საბჭოში წავსულიყავით საბჭოს თავმჯდომარესთან, რომელიც მენშევიკი იყო და ბეჭედი ჩამოგვერთმია, რათა საშუალება აღარ ჰქონოდა საბჭოს სახელით გამოსულიყო, თან ერთი მუშა გაგვაყოლეს.

საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში ყოველივე უბრალოდ მოხდა. ნატაშამ პირდაპირ უთხრა: „ბოლშევიკებმა ძალაუფლება ხელში აიღეს (ეს გაზვიადებული იყო, თუ მოსკოვზე ვიტყოდით, მაგრამ ნატაშამ გზაშივე გაგვაფრთხილა: „მენშევიკებთან ბევრი ლაპარაკი არაა საჭირო, მოკლედ უნდა მოვუჭრათ, თორემ გზას აგვიბნევსო"). გთხოვთ მოქალაქე თავმჯდომარევ, ბეჭედი მოგვცეთ!"

საბჭოს თავმჯდომარე განათლებით იურისტი იყო და კანონიერებაზე დაგვიწყო ლაპარაკი.

„ვინა ხართ, ვინ მოგცათ ძალაუფლება? უკანონოდ იქცევით".

მაგრამ ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ ამას მხოლოდ განგებ ამბობდა; ალბათ, უკვე იცოდა პეტროგრადში მომხდარი ამბები.

ბოლოს რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ გაბრაზებით გვითხრა: „ბეჭედი მდივანს აქვს თუ კი მიგაჩნიათ, რომ უფლება გაქვთ, გამოართვით". და მაშინვე გავიდა.

---

*საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი საქალაქო სათათბიროსთან, მოსკოვში 25 ოქტომბერს, საღამოს, ჩამოყალიბდა ქალაქის თავის რუდნევის ინიციატივით, ვითომდა მოსახლეობის დასაცავად. სინამდვილეში კი კონტრრევოლუციის ორგანოს წარმოადგენდა.

ნატაშა ბოგაჩევა და ჩვენთან ერთად წამოხული მუშა საბჭოში დარჩნენ სამორიგეოდ, მე კი რაიკომში დავბრუნდი.

რაიკომის მთელი ხელმძღვანელობა საღამოს „ტროიოხგორკას“ სამზარეულოში წავიდა. თქვეს, იქ პრესნის რაიონის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი მოეწყოო. რაიკომში მორიგედ ახალგაზრდობა დაგვიტოვეს: ვასია უსტინოვი, შურა სოკოლოვი, სერიოჟა იაკოვლევი, ფედია კუჩერეგი, ტანია და მე.

გვითხრეს: „რაიკომის დასაცავად მზად იყავითო!“

მაგრამ რა უნდა დაგვეცვა? ან როგორ დაგვეცვა? მორიგეებს ორად ორი ბერდანის თოფი გაჩნდათ, აქედან მხოლოდ ერთი იყო ვარგისი. ვსხედვართ და ყურს ვუგდებთ; მგონი, სადღაც ისვრიან, ალბათ, ცენტრში. იქ ხალხი იბრძვის, ჩვენ კი განზე დაგვტოვეს, არაფერს არ ვაკეთებთ.

ჰოდა, გადავწყვიტეთ, რომ ლოდინი არაფერს გვარგებს და იარაღი ჩვენ თვითონ უნდა ვიშოვოთ. ვიცოდით, რომ პრედტეჩენკაში, შესახვევის ბოლოს, რაიონული მილიციის უბანი იყო. ვასია უსტინოვი და შურა სოკოლოვი ბერდანის თოფებით შევაიარაღეთ და წინ გავუშვით, ჩვენ უკან გავყევით.

კარი შევაღე, მაგიდის ირგვლივ შეიარაღებული მილიციელები სხედან, რიცხვით ჩვენზე მეტნი არიან, ისეთი სახეები აქვთ, თითქო ჩვენს მოსვლამდე კიდევ რაღაც სხვა უბედურება დაატყდათო.

ვასია უსტინოვმა ნატაშასავით დაიწყო: „ძალაუფლება ბოლშევიკების ხელშია, რაც იარაღი გაგაჩნიათ, მაგიდაზე დადეთით, თორემ გაგჩხრეკთ და მაინც წაგართმევთ!“

მილიციელებმა რევოლვერები მაგიდაზე დააწყვეს.

„განა თქვენს წინააღმდეგ ვართ, გვიბრძანეს, აქ იყავითო და რა გვექნა“, — ალაპარაკდნენ ისინი.

მილიციელები სახლებში გავუშვით და იარაღი ჩამოვარიგეთ.

რაიკომში გახარებულები დავბრუნდით, თავი გმირები გვეგონა: რაკი ეს მოვახერხეთ, მაშასადამე, სხვა საქმეშიც არ შევირცხვენთ თავს.

იქ დილამდე ვსწავლობდით, როგორ უნდოდა იარაღის ხმარება. დილით შეიარაღებულები წავედით „ტროიოხგორკას“ სამზარეულოში, სადაც რევკომი იყო მოთავსებული.

ცენტრში უკვე ბრძოლები დაიწყო. რაიკომში მუშები მოდიოდნენ და ჰყვებოდნენ, იუნკრების ცალკეული ჯგუფები ჩვენს რაიონშიც, — გორბატი ხიდზე, ნიკიტსკიე ვოროტასთან, პოვარსკაიაზე, ნოვინსკის ბულვარზე — გამოჩნდნენო. ერთი სიტყვით, საქმე უფრო რთულად იყო, ვიდრე ჩვენ გვეგონა წინა ღამით, პირველი გამარჯვების შემდეგ.

გადავწყვიტეთ, ხოდინსკის ყაზარმებში დელეგაცია გაგვეგზავნა, რომ ჯარისკაცები დაერწმუნებიათ შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობა მიეღოთ.

კუდრინის მოედანი რომ გავიარეთ, ნიკიტსკაიასა და ტვერსკაიას შესახვევის კუთხეებში, საბჭოსთან ახლოს, იუნკერები და კადეტები შევამჩნიეთ. მეორე ქუჩაზე კი მუშათა შეიარაღებული რაზმები იდგა; სროლა უკვე დაწყებულიყო.

ერთი სახლის შესასვლელიდან ვიღაცამ დაგვიყვირა: „თქვე სულელებო, დაიმალეთ, არ გესმით? ისვრიან!“

საბჭო მაშინ სკობელევის მოედანზე იყო მოთავსებული, — იქ, სადაც ახლა ეოსკოვის საბჭოა. მოედნის გასწვრივ იუნკრები ჩამწკრივებულიყვნენ. ზოგი მეზობელი სახლების ზემო სართულებში ჩამალულიყო და იქიდან ისროდნენ საბჭოს მიმართულებით; წითელგვარდიელები შაშხანებიდან და ტყვიამფრქვევებიდან პასუხობდნენ.

საბჭოს მთელი შენობა მუშათა შეიარაღებულ რაზმებს დაეკავებინათ. აქედან მიდიოდნენ ისინი ფოსტისა და ტელეგრაფის დასაცავად; დერეფნებში მეკავშირეები დარბოდნენ; სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი იქვე ოთახებში მუშაობდა.

მხოლოდ ჩვენები არ ჩანდნენ არსად.

„პრესნელების რაზმი ხომ არ გინახავთ?“ — ვეკითხებოდი ყველას. ზოგი გვეუბნებოდა: „აგერ, შესახვევში არიან“, სხვები ამბობდნენ. „ზემოთ, სახურავზე იმყოფებიანო!“

ერთმა კაცმა, რომელსაც სახელზე წითელი ნაჭერი ეკეთა, მე და ტანია მეორე სართულის დერეფანში წაგვიყვანა. დაჭრილი წითელგვარდიელები იქ პირდაპირ იატაკზე იწვნენ. „აი, ჯერჯერობით ამათ დაეხმარეთ.“ — გვითხრა იმ კაცმა.

მაშ, ჩვენც საჭირო ვყოფილვართ! ახალგაზრდა მედიცინის დამ ხელში სახვევები მოგვაჩეჩა და აგვიხსნა, რა უნდა გაგვეკეთებინა. მე და ტანია დაჭრილების შეხვევას შევუდექით. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე ჭრილობა, სისხლი.

დაჭრილებს ვერ მივატოვებდით. მაგრამ ისიც ძალიან გვაწუხებდა, რომ დავალება არ შევასრულეთ. შინოგინი უთუოდ სადმე უნდა გვეპოვნა.

უეცრად რაღაცამ დაიგრიალა, დერეფნის ფანჯრებში შუშები ჩაიმსხვრა. ვიღაცამ დაიკვნესა, ვიღაცამ დაიყვირა: „ჯავშნოსნიდან ისვრიან ეგ გველებიო!“

ყველანი ქუჩაში გაცვივდნენ, ჩვენც უკან გავყევით. ქუჩაში გასვლისას შენობის წინ მდგარ ჯავშნოსანს რევოლვერები დაუშინეს. ისეთი სროლა ატყდა, კაცი ვერაფერს გაიგონებდა. მეც ძალიან მინდოდა გასროლა, მაგრამ ჯავშნოსანს სად უნდა ესროლო? ისე უბრალოდ ხომ არ შეიძლება. სანამ მე მიზანს ვეძებდი, ჯავშნოსანმა კიდევ ერთი ჯერი მისცა და სწრაფად წავიდა.

ჩვენს პირდაპირ, ფილაქანზე, ვიღაც კაცი იწვა. მე და ტანიამ მივირბინეთ, გვინდოდა წამოგვეყენებინა, მაგრამ მან ადგომა ვერ შეძლო და ხელით წამოვათრიეთ. არ მეგონა, თუ დაჭრილი ასე დამძიმდებოდა, ორმა ძლივს გამოვიყვანეთ.

„გაისროლეთ?“ — ვკითხე მე.

„მაშ როგორ? — გაუკვირდა მას.

რა შურის თვალით შევცქეროდი ამ კაცს!

„მე კი ვერ მოვასწარ“, — გულდაწყვეტით გამოვუტყდი.

„რა გეჩქარება, მოასწრებ“, — ჩაეცინა მას.

დავბრუნდი ისევ დერეფანში, სადაც დაჭრილები იწვნენ.

„აქ რას აკეთებთ, გოგოებო?“ — მომესმა უეცრად უკანიდან.

მივიხედე და ფედია შინოგინი დავინახე. მხარზე შაშხანა გადაუკიდია, რევოლვერიც გვერდზე აქვს მოგდებული. მუდამ სახე-მოღუშული და მოუამული, ახლა ძმასავით ალერსიანად გვიყურებს. მართალი გითხრათ, წინათ რაღაც მეშინოდა მისი, უფრო სწორედ, მერიდებოდა: ახლა კი საოცრად ახლობლად მომეჩვენა. „ფედია! სადა ხართ ყველანი? ჩვენ აქ გეძებდით!“

ფედიას ვასია უსტინოვი და სხვა ნაცნობი მუშები მოჰყვებოდნენ. ისეთი გრძნობა დამებადა, თითქო პრესნას იმედი და ძალა ეს ბიჭები იყვნენ. მხოლოდ აქ რად არიან, რაიონში ხომ დამცველი არავინ დარჩათ?

თურმე ისინი საბრძოლო მორიგეობიდან მოდიოდნენ; მართლაც, ზოგი სახურავზე ყოფილა, ზოგიც შესახვევში.

ფედიამ გვითხრა, აქ დამიცადეთ, მე რევკომში წავალ, ვკითხავ, როგორ უნდა მოვიქცეთო. მედიცინის დამ სადღაც ჩაიდანი იშოვა ადუღებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლით, ტოლჩები, ჩაი, შაქარი და პური მოიტანა. ჩვენ აქაც მოვეხმარეთ: დაჭრილებს შაქარი, პური დავურიგეთ, ჩაი დავალევინეთ.

ჩემს წარმოდგენაში ყოველი დაჭრილი გმირი იყო. როცა დაჭრილი რახმე მთხოვდა, აღარ ვიცოდი, სად გავქცეულიყავი, ოღონდაც შემესრულებინა მისი წადილი.

ფედია დაბრუნდა, რევკომში უთხრეს: „თქვენს რაიონში წადითო“. დახმარებასაც შეპირდნენ.

თენდებოდა, როცა რაიონში დავბრუნდით. თითოოროლა მივდიოდით შესახვევებში. მხოლოდ პრესნასთან დაგვამწკრივა შინოგინმა.

„ტრიოხგორკას“ ეზოში ჩვენი ბიჭები ვნახეთ და გავიგეთ, რომ ხოდინსკის ყაზარმები ჩვენს მხარეზე გადმოსულიყო. ჯარისკაცებმა პირობა დადეს, მხარს დაგიჭერთ, იარაღსაც მოგცემთო. ყაროვი და დუგაჩევიც დაბრუნებულიყვნენ კრემლიდან.

რევკომში დიდი გამოცოცხლება სუფევდა, ხალხი ბლომად ირეოდა, იარაღი რიგდებოდა.

მეორე დილით ზოოპარკთან ორი ზარბაზანი იდგა, ხოდინკის ყაზარმებიდან გამოგზავნილი.

ზარბაზნებს ლულა ცენტრისკენ ჰქონდათ მიმართული. შემდეგ ერთი მათგანი კუდრინკაზე გადაათრიეს. კიდევ ერთი ზარბაზანი გორბატი ხიდზე დადგეს.

დღისით რაიონში ხოდინკელი ჯარისკაცები მოვიდნენ; აქამდე ბარიკადები მხოლოდ მუშათა შეიარაღებულ რაზმებს .ეკავათ.

ქუჩებში უკვე ბრძოლები მიმდინარეობდა.

მე და ტანიას დაგვავალეს, სამედიცინო პუნქტი მოაწყვეთო. მედიცინისა, ცხადია, ბევრი არაფერი გაგვეგებოდა, მაგრამ საქალაქო კომიტეტიდან მედიცინის და—ჩაიკინა გამოგვიგზავნეს. ის გვასწავლიდა, რა უნდა გაგვეკეთებინა. უპირველეს ყოვლისა ბამბა, სახვევები და საკაცეები უნდა გვეშოვნა. სად? ამას აღარ ვკითხულობდით, ეს უკვე ვიცოდით. შევიდოდით კერძო აფთიაქებში, ვეუბნებოდით: „მოგვეცით ესა და ეს...“ დაბნეულ პატრონებს საწყობებიდან გამოჰქონდათ ბამბა და სახვევები. ჩვენ ხელწერილს ვაძლევდით, თუმცა არავინ გვთხოვდა. ალბათ, რომ გამოვდიოდით, მაშინვე ხევდნენ.

დაჭრილების პალატა აქვე, რევკომში, მოვაწყვეთ. გარდა ამისა, მეზობელ ჰოსპიტალში ჩვენი დაჭრილებისათვის ცალკე პალატაც გამოვითხოვეთ.

რევკომში მოწყობილ პალატაში მედიცინის და ჩაიკინა დავტოვეთ, მე და ტანია კი ქუჩა-ქუჩა დავდიოდით, რაზმებში, სადაც შეიძლება დაჭრილები ყოფილიყვნენ. იქვე ადგილზე ვუხვევდით ჭრილობას და ან აქ, ჩვენს პალატაში მოგვყავდა, ჩაიკინასთან, ანდა ჰოსპიტალში.

იმ ოქტომბრის დღეებში ჩვენი მეგობრული თავდადება მეტად საგრძნობი იყო. აი, დაგავალეს რაღაც და ქუჩაში მირბიხარ. გაიხედავ: აგერ ბარიკადზე შურკა სოკოლოვი ან პეტია ვორობიოვი დგას, ან არა და სხვა ამხანაგი კავშირიდან, შენც მაშინვე გული აგიჩუყდება, რაღაც თბილი გრძნობა დაისადგურებს სულში.

დაიღლები, მიხვალ რაიკომში; იატაკზე წვანან დუგაჩევი და სლუსარევი, თავქვეშ ხელი ამოუდვიათ, უფრო ხშირად მუშტი, რათა ჩქარა გაიღვიძონ. ვიღაცას დაჭრილთა პალატაში მოუკალათებია, იატაკზე გაწოლილა, თავი საკაცეზე დაუდევს დ სძინავს. შენც იქვე სადმე მიიკუჭნები, — ერთ-ორ საათზე მეტი მე და ტანიას არასოდეს არ გვძინებია — და მერე ისევ გაიქცევი.

რას ვეპადით? საკვები პუნქტი ნატაშა ბოგაჩევას ებარა. ერთხელ იუნკერების საწყობი ჩავიგდეთ ხელში დ კონსერვები კარგა ხანს გვეყო. ნატაშა სამ კაცზე თითო ჭილას იძლეოდა. ეს, ცხადია, დიდი ფუფუნება იყო. ხშირად კი ერთ ტოლჩა ჩაის პურის პატარა ნაჭერს მიატანდი და ეს იყო და ეს.

ქალაქში დროებითი ზავი გამოცხადდა. ჩვენ არცთუ დიდად დავიჯერეთ ეს ამბავი და ვცდილობდით-დრო გონიერად გამოგვეყენებინა: გავწმინდეთ იარაღი, ჩვენს რაიონში საეკვო ხალხი განვაიარაღეთ. იუნკერებმა ზავი მეორე დღესვე დაარღვიეს.

სამედიცინო პუნქტზე მუშაობის გარდა მე და ტანია წინანდებურად დავდიოდით დასაზვერავად: ნიკიტსკაიადან მანეყამდე ჩავიდოდით, დავათვალიერებდით, იუნკერებისა და კადეტების ნაწილები რომელ შესახვევებში იდგნენ, და ისევ რევკომში ვბრუნდებოდით ხოლმე.

ნიკიტსკიე ვოროტასთან ფედია შინოგინის რაზმს ჩავუვლიდით ხოლმე. აქ ბარიკადას აგებდნენ. შინოგინი ჩვეულებისამებრ სიტყვაძვირი და უფრო დინჯი ჩანდა. ირგვლივ პატარა ბიჭები დაფუსფუსებდნენ, მოათრევდნენ მორებს, ტომრებს, ახლომახლო შესახვევების დასაზვერავად მიდიოდნენ და შინოგინს თვალ-წარბში შეჰყურებდნენ, კიდევ რას დაგვავალებსო. როცა სროლა დაიწყეოდა, ბელურებივით აქეთ-იქით მიმოიფანტებოდნენ, სარდაფებსა და სახლების შესასვლელებში მიიმალებოდნენ. სროლა მიწყდებოდა თუ არა, ისევ შინოგინის ირგვლივ შემოიკრიბებოდნენ.

როცა ერთხელ შინოგინის რაზმს ჩავუარეთ, — ახალ დავალებაზე მივდიოდით, ბარიკადას საიდღანაც აუტეხეს სროლა. ფედიას რეზერვიდან ერთი პატარა ბიჭი სახურავზე აძვრა და დიდხანს იწვა იქ ბუხრის უკან. მერე ჩამოძვრა და შინოგინს მოახსენა — „ეკლესიის სამრეკლოდან ისვრიანო.“

მერე პეტია ვოროობიოვმა მოირბინა რევკომში და გვიამბო, რაც მოხდა. სამრეკლოზე რომ აკვიდნენ, ნახეს, მართლაც ტყვიამფრქვევი დგას, ტყვიამფრქვევთან ანაფორიანი ხუცესი წევს, გულზე დიდი ჯვარი უკეთია, როგორც წესი და რიგია. პეტიამ უთხრა: „ღვთის კაცს ეგ როდი შეეფერება, მამაო, ღმერთი გიწყენს მაგ საქციელს“. ხუცესი შეკრთა, მოიხედა და პეტიას პირჯვარი გადასახა, თითქო პეტია ეშმაკი ყოფილიყო და ეს პირჯვრისწერა გააქრობდა. პეტიამ კი უთხრა: „მე ღმერთის არ მეშინია, მამაო, შენ კი უნდა გეშინოდესო.“ როცა ხუცესი სამრეკლოდან ჩამოიყვანეს, პეტია მის თბილ ბუნაგში ჩაწვა, მხოლოდ ტყვიამფრქვევი ნიკიტსკიეს ვოროტასკენ მიაბრუნა: იქ მაშინ იუნკერები იყვნენ.

ნიკიტსკიე ვოროტაზე და ნოვინსკის ბულვართან მომზდარი ბრძოლები ჩვენს რაიონში უკანასკნელი ბრძოლები იყო.

ნოვინსკის ბულვართან ბარიკადები არ აუგიათ. სროლის დროს ხეებს, სკამებს ეფარებოდნენ, ერთი ხიდან მეორე ხისკენ გადარბოდნენ. მახსოვს, ხეებს შუა იუნკერები დარაზმული მოდიოდნენ. ჩვენებმა კუდრინის მოედანზე მდგარ ზარბაზნიდან გაისროლეს. იუნკერები აქეთ-იქით გაიფანტნენ, მერე ისევ შეგროვდნენ და საპასუხო სროლა ატეხეს.

შევამჩნიე, რომ ბულვარის გასასვლელში პირქვე ეგდო ერთი კაცი, ჯარისკაცის ფარაჯა აცვია, გადაკვწყვიტე, სადმე ჭიშკრის გადმოხურულში შემეთრია, იქ ისეთი სროლა მაინც არ იქნება, მერე ჭრილობას შევუხვევ და საკაცის მოსატანად ვისმე გავგზავნიმეთქი.

მისი წამოყვანა ძალიან გამიჭირდა, მით უმეტეს, ტყვიებს ირგვლივ ზუზუნი გაჰქონდა. რაღაც ვუთხარი, პასუხი არ გამცა. დავიხარე, თავი ჩემსკენ მოვუბრუნე და ვნახე, რომ თვალები ღია ჰქონდა, კაკლები გაშეშებოდა

ბრძოლა რომ დამთავრდა, რევოლუციის მსხვერპლთა დასაფლავება მოეწყო. წითელი კუბოები ხელით წაიღეს პრესნადან წითელ მოედნამდე. არ ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა





ფილა არც გვირგვინები, არც ორკესტრი უკრავდა. „თქვენ მსხვერპლად დაეცით...“ მხოლოდ ამას ვმღეროდით. კრემლის კედელთან უზარმაზარი ძმათა საფლავები გათხარეს და რიგრიგად ჩააწყვეს კუბოები.

მეც სხვებთან ერთად მივდიოდი კოლონაში, თვალწინ კი სულ იმ ფარაჯიანი კაცის სახე მედგა.

საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტმა კაპიტულაციას ხელი მოაწერა. ძალაუფლება უკვე ჩვენს ხელთ იყო!

მაგრამ სადღა იყო ის უდარდელი მხიარულება, რაც თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სუფევდა. მაშინ არაფერი გვედარდებოდა, არც არაფერი გვეკითხებოდა. გვეგონა რევოლუცია მოხდა და ყველაფერი კარგად იქნებაო. ახლა ძალაუფლება ჩვენ ჩაგიგდეთ და პასუხისმგებლებიც ჩვენ ვიყავით. გვაფიქრებდა ის ამბავი, რომ ძალაუფლება ჩვენს ხელში იყო, მაგრამ ხალხი უფრო უარეს პირობებში ცხოვრობდა. მედუქნეებმა საბოტაჟი გამოაცხადეს: დაკეტეს მაღაზიები, დუქნები, გადმალეს საქონელი. ქალაქში ვერაფერს იშოვი: არც პროდუქტებია, არც შეშა. შემოდგომა კი უკვე კარს მოგვადგა. მე და ტანიას დაგვავალეს შეშის საწყობში წავსულიყავით და ყველაფერი, რაც იქ დაგვხვდებოდა, მოსახლეობისთვის დაგვერიგებინა. ის იყო პირველი დავალება საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან. გადავხედეთ ერთმანეთს: ვგავართ თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლებსო?

საწყობში მოხუცებული ბუღალტერი ვნახეთ, ვუბრძანეთ: „დაუყონებლივ გახსენით საწყობი, აი განკარგულება“. ბერიკაცი დაიბნა. პატრონთან გაიქცა. როცა პატრონმა დავა დაგვიწყო, იმასაც განკარგულება წარვუდგინეთ: „რეკვიზიცია“, ეწერა შიგ. რაღა ჰქონდა სალაპარაკო? გაგვიღეს საწყობი თუ არა, მყისვე დიდზე დიდი რიგი დადგა. ნეტავ საიდან გაიგეს? პატრონი სადღაც მიიმალა, მოხუცებულმა ბუღალტერმა კი გვითხრა, ხელწერილით უნდა დავარიგოთ, რომ ყველაფერი გაფორმებული იყოსო. ჩვენც დავთანხმდით.

შეშა უფასოდ დავარიგეთ, მხოლოდ ხელს აწერდნენ მიღებაზე. მე და ტანია თვალს ვადევნებდით, წესრიგი არ დარღვეულიყო.

შემდეგ ახალი დავალება მივიღეთ: პრედტეჩენსკის შესახვევში ორი დიდი სახლი უნდა გაგვენთავისუფლებინა მუშების შესასახლებლად. მაშინ ასეთი ლოზუნგი გვქონდა: „მშვიდობა ქოხებს — ომი სასახლეებს!“ საჭირო იყო ხალხისთვის მაშინვე დაგვემტკიცებინა, თუ რა მოჰქონდა რევოლუციას ქოხებისათვის.

ორივე სახლი, ეტყობა, ვიღაც მდიდარ მეპატრონეს ეკუთვნოდა, — მეპატრონე არ გვინახავს. მობინადრეებიც, ჩანს, საკმაოდ მდიდრები იყვნენ.

შევდიოდით ბინებში და ვაცხადებდით: „ეს სახლი ნაციონალიზირებულია. ერთ დღეღამეში უნდა დაცალოთ“. ზოგი მაშინვე გვემორჩილებოდა, ზოგი წყევლა-კრულვით ავსებდა ბოლშევიკებს, საბჭოთა ხელისუფლებას.

მედუქნეებს გავახსნევინეთ დუქნები და მაღაზიები, მაგრამ შიგ არაფერი იყო. მდიდრების სახლებში ლპებოდა სანოვაგე, რაც ერთ ოჯახს ათი წლის განმავლობაშიც ეყოფოდა. მე და ტანია გასაჩხრეკადაც დავდიოდით, უცხოთა ზანდუკებიდან, სარდაფებიდან, საკუჭნაოებიდან ტომრით შაქარი, ბურღული, ფქვილი და ხანდახან იარაღიც კი გამოგვქონდა. აღარც ვერიდებოდით: მაშ რად მალავდნენ, როცა ხალხი შიმშილობს!

ახლა ყველაზე მთავარი რევოლუციური წესრიგი იყო.

* * *

ჩვენს ფაბრიკაში პირველ ხანებში ძველი დირექტორი დატოვეს. იმანაც დააპირა ჯერ სადღაც გაპარვა, მაგრამ აიძულეს ემუშავნა, — ცხადია, შეზღუდული უფლებებით. ქარხნის კომიტეტის გარეშე ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. შემდეგ ახალი დირექტორი ამოირჩიეს მუშათა წრიდან, — ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ოქტომბრის რევოლუციამდე დირექტორის მოქმედების საკონტროლოდ ავირჩიეთ.

გადაგვიხადეს ხელფასი აჯანყების კვირაშიც. ხელფასი მეპატრონემ დაგვირიგა: ფაბრიკის ნაციონალიზაცია რამდენიმე ხნით გვიან მოხდა. ფულის გადახდა, რასაკვირველია, არ უნდოდა: ამიტომ ერთი ღამე დატუსაღებული გვყავდა. შემდეგ ნატაშა ბოგაჩევა გავუგზავნეთ მოსალაპარაკებლად. და მოაწერინა ხელი განკარგულებაზე, რომ იმ დღეების ხელფასიც მოეცა. რა დღეებშიც არ გვიმუშავნია.

მაგრამ რას იყიდდი ამ ხელფასით? ფული თანდათან ეცემოდა: ვერ მოასწრებ მიღებას და დახარჯვას, რომ ხელში აღარაფერი გრჩება. მერე თითო კაცზე ნახევარი გირვანქა პურის გაცემა დაიწყეს. შემდეგ მეოთხედის: იყო დრო, რომ მხოლოდ გირვანქის მერვედს გვაძლევდნენ. პურის რიგებში ხალხი საღამოს დგებოდა და დილამდე ელოდებოდა თავის რიგს.

ძალიან მძიმე დღეები იყო, მაგრამ თავს მაინც ბედნიერად ვგრძნობდით.

გვწამდა, რომ ეს ყველაფერი დროებითი იყო, რომ ხალხს მალე შევუქმნიდით ბედნიერ ცხოვრებას. ჩვენ თვითონ კი მაშინ ბევრი არაფერი გვჭირდებოდა! ნაფოტა თევზის ერთი ნაჭერი, შავი პურის ლუკმა, ადუღებული წყალი სავსებით გვყოფნიდა. სამაგიეროდ ცხოვრება ხომ მეტად საინტერესო იყო!

რაც არ უნდა გაგვეკეთებინა, რა დავალებაც არ უნდა შეგვესრულებინა. საღამოთი უთუოდ რაიკომში გამოვცხადდებოდით ხოლმე.

* * *

ერთ საღამოს რაიკომში მივედი. ეზოში, ალაყაფის კართან, ტანია მელოდება.

„ანა, უკრაინაში ჰაიდამაკებთან საბრძოლველად მოსკოვის პირველ წითელგვარდიულ რაზმს აყალიბებენ. ჩვენი ბიჭები მიდიან. ფედია შინოგინიც მიყვებათ.“

რომ შევხედე, ტანიამ პირი იბრუნა, სწრაფად მითხრა:

„ჩვენი ბიჭები მიდიან... ჩვენც წავალთ?“

„ცხადია, წავალთ“.

გადავწყვიტეთ, ნადიასთვის არაფერი გვეთქვა: დედა ჰყავდა ავად.

პრეჩისტენკის ყაზარმებთან გავიქეცით. ყველანი უკვე იქ იყვნენ, რაზმის მეთაურმა ლაპარაკიც არ ისურვა ჩვენთან: „ქალებს ვერ წაიყვანო....“ ჩვენ მის წინ მერხზე მოვიკალათეთ და განვაცხადეთ, აქედან ფეხს არ მოვიცვლით-თქო. მთელი დღე მართლაც იქ ვისხედით.

„კარგი, ხვალ დილას მოდით ბარგიანად“. — გვითხრა ბოლოს რაზმის მეთაურმა.

მე შინ გამოვიქეცი.

„დედა, ფრონტზე მაგზავნიან. შენ სუფთა პერანგი მომიმზადე, ხომ?“

დედამ ითემმხედა:

„განა საჭიროა წასვლა, ანია?“

„საჭიროა, დედა, ძალიან საჭიროა... უარს ვერ ვიტყვი...“

დედა გაჩუმდა, ამოიოხრა.

დილით მე და ტანია ფრონტზე გავემგზავრეთ.

თარგმნა რ. ქებულაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საჭადრაკო კონკურსის შედეგები

★

ჩვენი ჟურნალის მიმდინარე წლის მარტის ნომერში გამოცხადებულმა საჭადრაკო ნაწარმოებთა ამოხსნის კონკურსმა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავს, საქართველოს ჭადრაკის ნორჩ მოყვარულთა შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. კონკურსში მონაწილეობდნენ ნორჩი ამომხსნელები თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, გორიდან და სხვა ქალაქებიდან.

კონკურსში საუკეთესოდ ამოხსნისათვის დაჯილდოვებული არიან პიონერები ე. ფალავა (ბათუმის № 17 საშუალო სკოლა) და ე. ქებაძე (გორის რაიონი სოფელ ვარიანის საშუალო სკოლა).

აღსანიშნავი არიან, აგრეთვე, მოსწავლეები გ. მყავანაძე (დიდი ჯიხაიში), ა. ხუნდაძე (ვანის რაიონი), ნ. ჭანტურიძე (ქუთაისი), შ. ხუდოიანი (თბილისი) და თ. ლოლომაძე (სამტრედია), რომლებმაც მრავალი ამოცანისა და ეტიუდის სწორი ამოხსნები გამოგზავნეს.

კონკურსის მონაწილეებს საფუძვლიანად უმუშავიათ საკონკურსო მასალებზე.

კონკურსმა ცხადყო, რომ ჩვენს რესპუბლიკაში საჭადრაკო კომპოზიცია მოსწავლეებს შორის დიდი ინტერესით სარგებლობს.

კონკურსის მსაჯი **თ. ბიორგაძე**

★

პ ა ს უ ხ ე ბ ი

პასუხი შეკითხვებზე:

1. ჭადრაკი გამოიგონეს ინდოეთში, VI საუკუნეში.

2. პირველი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ლონდონში 1851 წელს.

3. პირველი მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელზე მოეწყო 1886 წელს ვ. სტეინიცისა და ი. ცუკერტორტს შორის. 4. მსოფლიო ჩემპიონები ყოფილან ვ. სტეინიცი (1886—1894 წწ), ე. ლასკერი (1894—1921 წწ.), ხ. კაპაბლანკა (1921—1927 წწ), ა. ალიოხინი (1927—1935 და 1937—1946 წწ), მ. ეიეე (1935—1937 წწ). მ. ბოტვინიკი (1948—1957 წწ). ახლა მსოფლიო ჩემპიონია ვ. სმისლოვი. 5. ქალთა შორის მსოფლიოს პირველი ჩემპიონი იყო ჩეხოსლოვაკელი ვერა მენჩიკი. 6. საბჭოთა კავშირის პირველ ჩემპიონატად ითვლება სრულიადრუსეთის ოლიმპიადა, რომელიც ჩატარდა 1920 წელს. გაიმარჯვა ა. ალიოხინმა. 7. საქართველოს პირველი ჩემპიონატი ჩატარდა 1928 წელს. 8. ა. დადიანის შესახებ პირველი წიგნი გამოაქვეყნა რუსმა ოსტატმა ე. შიფერსმა ფრანგულ ენაზე, კიევში 1903 წელს. 9. ა. ტროიცკი არის თანამედროვე საეტიუდო ხელოვნების ფუძემდებელი. მას ერთადერთს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სახელი. 10. სიტყვები „ჭადრაკი გონების სასინჯი ქვაა“ ეკუთვნის დიდ გერმანელ პოეტს გოეთეს.

პ ა ს უ ხ ი ე ტ ი უ დ ე ბ ზ ე:

ე ტ ი უ დ ი № 1.

1. ლg5+ მფf8 (და არა 1. ... მფh8 2. ლd8+ 3. ლf6 ადვილი მოგებით) 2. ლd6+ ლe8 3. მg6+! მფf7 (თუ 3. ...hg, მაშინ 4. ლ:e8+, 5. h7 მოგებით) 4. მh8+ მფf8 5. ლf6+ კf7 6. მg6+! hg (იძულებითია. თუ 6. ... მფg8, მაშინ 7. ლg7 ×) 7. h7 ლb8+ 8. მფh1 მფe8 9. h8ლ+ მოგებით.

ე ტ ი უ დ ი № 2

ამ ეტიუდში დაშვებული იყო შეცდომა (შავი მეფე ნაცვლად g8-სა იდგა f7-ზე), რომელიც ამომხსნელთა უმრავლესობამ ანალიზით აღმოაჩინა. თეთრებს მოგებისათვის მხოლოდ ერთი ტემპი აკლდებოდათ. ეტიუდის ამოხსნაა (შავი მეფე დგას g8 ზე): 1. კb4! მფf7 2. a4! მფe6 3. a5 მფd5 4. a6 მფc6 5. კa5! d5 6. მფg2 d4 7. მფf3 d3 8. მფe3 d2 9.მფ:d2 მფd7 10. a7 მოგებით.

პ ა ს უ ხ ე ბ ი ა მ ო ცა ნ ე ბ ზ ე:

ა მ ო ცა ნ ა № 1

1. ლf1! e5 2. ე:h5 +! მფ:h5 (თუ 2. ... gh 3. ლa6×, თუ 2. ... კ:h5, 3. ლf8×) 3. ლh3×. თუ 1. ... g4 (gh) 2. ლd2+ g5 3. ლd6×.

ა მ ო ცა ნ ა № 2

1. g8მ! b5 2. მe7 მფ:b4 3. მc6×

პ ო ზ ი ც ი ე ბ ი ს ა მ ო ხ ს ნ ა

პ ო ზ ი ც ი ა № 1

თეთრების იერიში შავების მეფეზე კომბინაციით მთავრდება: 1. მf6 + gf (თუ 1. ... მფf8, მაშინ 2. მ5h7×) 2. ლh7+ მფf8 3. მ:e6! ~ 4. კh6×.

პ ო ზ ი ც ი ა № 2

შავების მეფე საშამათო ქსელშია გახვეული. გამარჯვების მისაღწევად საჭიროა მისი თავშესაფარის დამსხვრევა. 1. g4! (მუქარით 2. ე:h5+ 3. g5+) 1. ... კ:e3+ (სწრაფად აგებს 1. ... hg 2. ლ:g4 კ:e3+ 3. მფh1 კ:f4 4. ეh5+ მოგებით) 2. ლ:e3 კd3 (შავების ორი უკანასკნელი სვლა მხოლოდ ახანგრძლივებს თამაშს) 3. კ:d3 hg 4. ე:g6+ ე:g6 5. f5+ მფh7 (5. ... მფh5 6. fg და 7. ლg5×) 6.fg+ მფg8 7. ლh6 მოგებით.

ტექნიკის სამყაროში



სიძნელეებით სავსე გზა გაიარა საბჭოთა კავშირის ტექნიკამ, მეფის რუსეთის უბადრუკ დანატოვარზე ორმოცი წლის შეუპოვარი, თავდადებული შრომის შედეგად საბჭოთა ადამიანებმა შექმნეს მსოფლიოში უძლიერესი ინდუსტრია. გაიზარდა, დავაჟკაცდა, ჩვენი ტექნიკური კადრები და, თუ იც—ოცდათიან წლებში ხშირად გვიხდებოდა უცხოელი სპეციალისტების მოწვევა, უცხოეთის ტექნიკის შემოტანა, უცხოური მანქანების გამოყენება, დღეს საბჭოთა ინჟინრები ოვითონ აგებენ ასობით ფაბრიკებს და ქარხნებს ევროპის, აზიის თუ აფრიკის ქვეყნებში, ხოლო ჩვენი სრულყოფილი დაზგები, მძლავრი მანქანები, სწრაფი თვითმფრინავები მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეს მისწვდა.

საბჭოთა ტექნიკის ჰეშმარიტი სიამაყეა ახალი რეაქტული სამგზავრო თვითმფრინავი ტუ-104, რომელიც საბჭოთა ავიაკონსტრუქტორმა, აკადემიკოსმა ტუპოლევმა შეჰქმნა. აი, ამ მანქანის შესახებ გვინდა გიამბოთ დღეს.

საბჭოთა ტექნიკის სიამაყე

1956 წელს, ივლისში, მოსკოვში, ვნუკოვოს აეროდრომიდან აფრინდა გიგანტური მანქანა ისრის ნაგავსი ფრთებით და კურსი აღმოსავლეთისაკენ აიღო. რამდენიმე წამიც და თვითმფრინავი თვალს მიეფარა, მაღლა ღრუბლებში გაუჩინარდა.

ეს ტუ-104 იყო.

საბჭოთა სამგზავრო, საჰაერო ფლოტმა მიიღო შესანიშნავი რეაქტული თვითმფრინავი. მასზე დადგმულია ორი მძლავრი ტურბორეაქტული ძრავა და რადიონავიგაციის სხვა თანამედროვე საშუალებანი, რის გამოც თვითმფრინავს დღისით და ღამით ყოველგვარი ამინდის პირობებში შეუძლია ფრენა. უზარმაზარი საჰაერო გემი დედამიწიდან 11-12 კილომეტრის სიმაღლეზე ფრენს და საშუალოდ 800-850 კილომეტრ სისწრაფეს ანვითარებს საათში.

წარმოიდგინეთ, რომ მოსკოვიდან ხაბაროვსკისაკენ ერთდროულად სამი მგზავრი გაემართა. ერთი მათგანი ჩქარ მატარებელს გაჰყვა, მეორე ჩვეულებრივ თვითმფრინავს, მესამე კი ტუ-104-ს. პირველი მგზავრი ხაბაროვსკში რვა დღის შემდეგ ჩაღწევს, მეორე ამ გზას დაახლოებით 27 საათს მოანდომებს, მესამე კი — მხოლოდ 11 საათს. დროის ასეთი დიდი ეკონომია მიღწეულია არა მარტო ფრენის დიდი სისწრაფით, არამედ, ძირსდაუშვებელი ფრენითაც — მატარებელი ხაბაროვსკამდე ასჯერ ჩერდება, ტუ-104 კი ძირს დაუშვებლად, ან მხოლოდ ორი გაჩერებით სძლევს ამ მანძილს. თვითმფრინავის დიდი სიჩქარე და სახავიგაციო ხელსაწყოების სიმრავლე ეკიპაჟის ზუსტ და შეთანხმებულ მოქმედებას მოითხოვს. ამაში ეკიპაჟს დიდ დახმარებას უწევენ ავტომატები, რომელთაც შეუმჩნეველი არ რჩებათ ნორმალური მდგომარეობიდან მანქანის ოდნავი გადახრაც კი. ისინი საწვავსაც ადევნებენ თვალს და მოტორისათვის მის მიწოდებასაც არეგულირებენ. ეს დიადი საპასუხისმგებლო საქმეა, რადგან თვითმფრინავს დიდი რაოდენობით სჭირდება საწვავი — ერთ გადაფრენაზე 34 ათასი ლიტრი.

როდესაც თვითმფრინავი გამყინვარების ზონაში მოხვდება, ავტომატურად იწყებს მოქმედებას გამთბობი აპარატურა.

ტუ-104 შესანიშნავია არა მარტო თავისი ფრენითი თვისებებით, არამედ ეკიპაჟისა და მგზავრებისათვის შექმნილი კომფორტითაც. ტემპერატურის რეგულირება ამ თვითმფრინავში ავტომატურად ხდება. ათი ათასი მეტრის სიმაღლეზე, სადაც ჰაერის ტემპერატურა მინუს 60 გრადუსს აღწევს, თვითმფრინავში ნორმალური — 20 გრადუსიანი სითბოა. როგორც ცნობილია, დიდ სიმაღლეზე ასვლისას, წნევის შემცირება ძალზე ცუდად მოქმედებს ადამიანზე; ამ თვითმფრინავში კი სიმაღლე საშიში არ არის — ჰერმეტულ კაბინებში წნევა დაახლოებით ისეთივეა, როგორიც დედამიწაზე.

ტუ-104-ის პირველ შორეულ რეისიდან ერთი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში საჰაერო ხომალდი ნახეს ჰეკინის, პრაღის, რანგუნის, ლონდონის, დელის, ხაბაროვსკის, თბილისის და ტაშკენტის ათასობით მცხოვრებლებმა. ამასწინათ კი თვითმფრინავმა ძირსდაუშვებლად გადალახა ატლანტიკის ოკეანე და შეერთებულ შტატებში ჩავიდა.

საბჭოთა ავიაკონსტრუქტორები ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავისათვის ახალ საჩუქარს უმზადებენ სამშობლოს. მალე აგებული იქნება თვითმფრინავი „როსია“, რომელიც 180 მგზავრს დაიტევს და საათში 900 კილომეტრი სისწრაფე ექნება.

რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი).

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ | **ფასი 2 მან.**

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. № 11 1957
Тбилиси, Плеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85

უე 04416, ტირ. 15.000, ხელმოწ. დასაბ. 28/XI-57 წ. სტამბის შეკვ. № 1061, გამომც. შეკვ. № 620
საქ. კპ. ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი“.

გასართობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ტ ო ბ ტ ო ბ ა

– 18, 6, 11, 15, 2, 13



– 4, 3, 13, 19, 6, 2, 6

– 14, 2, 13, 16, 14, 3, 2, 6

– 17, 9, 2, 13, 16, 8, 6



– 14, 2, 3, 5, 9, 6, 12, 15, 16

– 10, 13, 7, 8, 6



სურათების სახელწოდებანი აღნიშნულია ციფრებით. ციფრები შეცვალეთ შესაბამისი ასოებით და კარსკვლავის უჯრედებში ჩასვით. ისრით ნაჩვენები მიმართულებით წაიკითხავთ ლოზუნგს.

რ. თავდიდიშვილი

გ ა მ ჭ რ ი ა ხ ი შ ე გ ი რ დ ე ბ ი

ერთხელ დერვიშმა თავისი სამი შეგირდი დაიბარა; ყოველ მათგანს ათი მანეთი მისცა, ბაზარში გაისტუმრა და თან დააბარა: ერთ მათგანს 50 ქათამი ეყიდნა, მეორეს — 30 ინდაური და მესამეს — 10 გოჭი, იმ პირობით, რომ სამივეს ოანაბარი თანხა გადაეხადა ქათამში, ინდაურში და გოჭში.

შეგირდებმა პირობა პირნათლად შეასრულეს.

როგორ მოიქცნენ ისინი?

გ. გველესიანი

პასუხები „პიონერის" № 10-ში მოთავსებულ გასართობზე:

პ ა ს უ ხ ი კ რ ო ს ვ ო რ დ ზ ე

ვერტიკალურად: 1. კანტი; 2. ისარი; 4. აყალო; 5. ურანი; 6. ნალია; 8. ალჟირი; 9. რიტმი; 12. კონსულტაცია; 13. აკადემიკოსი; 16. სიცილია; 17. იკაროსი; 18. ირისი; 19. ამირა; 20. ტოკიო; 21. აორტა; 22. ეხო; 23. არა; 30. ზღარბი; 31. არალი; 33. აარაუ; 35. ზვარი; 36. ნავოი; 39. ეთიკა; 40. „იმედი".

ჰორიზონტალურად: 1. კორტი; 3. „ავარა"; 5. ურალი; 7. იმამი; 10. ანემია; 11. არაგვი; 12. კონსტიტუცია; 14. აბანო; 15. კიტრი; 16. სარიანი; 18. ინდრა; 20. ტაიგა; 22. ერა; 24. ჰიმალაი; 25. რემარკა; 26. ოკა; 27. იაუზა; 28. ოსაკა; 29. ამაზონი; 31. არაბი; 32. სარმა; 34. აზერბაიჯანი; 37. ლირიკა; 38. ვენერა; 39 ედილი; 41. ლილვი; 42. ირემი; 43. არზნი.

პასუხი თავსატეხზე: „დააკვირდი და ამოიკითხე":

„ოთარაანთ ქვრივი"; „გლახის ნაამბობი"; „კაცია ადამიანი?"; „აჩრდილი"; „განდეგილი".

b. 41/5